საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუნის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლოესია.

ოთხშაბათი, 16 აგვისტო. 2017 წ. №164 (8301), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

როგორ დაიწყო რუსეთმა საქართველოს „დახვეწილი წამება“?!

4

5

ამჯერად მშვიდობისთვის იძულებას ბოლომდე მივიყვანთ...

მუქარა სოხუმიდან!

მკვდრადშობილი კანონი

ხმაური „ძვირი სიამოვნება“ გახდა!

3

რა ღირს დასაქმებულის სიცოცხლე?!

გადავარჩინოთ მომავალი, ავაღორძინოთ რუსთავი!

2



ხალხი უფრო პრინციპულად ფიქრობს!..

მშვიდობის ამბორი რომის პაპისგან

არ მავიწყდება ჩვენი ორმხრივი პირობა ერთურთისათვის ლოცვისა, რომელიც გასულ წელს, თქვენს უძვირფასეს ქვეყანაში ჩვენი დაუვიწყარი შეხვედრისას ერთმანეთს აღვუთქვით, — ამის შესახებ რომის პაპის მიერ საქართველოს პატრიარქის ილია მეორისადმი გამოგზავნილ წერილშია აღნიშნული.

გთავაზობთ ამ წერილს.

„თქვენი ზეციური მფარველი წმინდანის, დიდი წინასწარმეტყველის, ელიას ხსენების დღესთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიხარულითა და სულიერი სიახლოვის განცდით ვუძღვნი თქვენს უწმინდესობას და უნეტარესობას ჩემს საუკეთესო, გულითად სურვილებს. არ მავიწყდება ჩვენი ორმხრივი პირობა ერთურთისათვის ლოცვისა, რომელიც გასულ წელს, თქვენს უძვირფასეს ქვეყანაში ჩვენი დაუვიწყარი შეხვედრისას ერთმანეთს აღვუთქვით. გარწმუნებთ რომ, პირნათლად ვასრულებ ამ დანაპირებს, განსაკუთრებით ამ საიუბილეო წელს, როცა საქართველოს ეკლესია ზეიმობს თქვენი უწმინდესობისა და უნეტარესობის აღსაყდრების მეორმოცე და დაბადებიდან ოთხმოცდამეხუთე, ასევე ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მეასე წლისთავს.

შევთხოვ უფალს, რომ კვლავაც უხვად მოჰმადლოს თავისი ლოცვა-კურთხევა თქვენს პატრიარქულ მსახურებას, წყალობა და მფარველობა არ მოაკლოს თქვენი მამობრივი მზრუნველობის ქვეშ მყოფ ყველა ადამიანს. დაე, კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა წმინდანის, ელიას მეოხებით კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩვენი ერთობა იესო ქრისტეში, უფლისეულო ძმაო; მსურს, კვლავაც გამოვხატო თქვენდამი ღრმა სულიერი სიახლოვის გრძნობა და გიძღვნათ ძმური მშვიდობის ამბორი“...

,,კარფურთან“ და ფონიჭალაში დაკავებული პირები ნათესავები არიან!

თბილისის შემოსასვლელში, „კარფურთან“ და სოფელ ფონიჭალაში სპეცოპერაციების შედეგად დაკავებული პირები ნათესავები არიან, — ამის შესახებ დაკავებულთა ადვოკატმა საზოგადაოებრივ მაუწყებელს განუცხადა. მისი ინფორმაციით, ორივე მათგანი სამართალდამცავებმა წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. ორივეს დაკავება ნარკოდანაშაულის ბრალდებით მოხდა.

ღირსეული თაობა მოდის!

დემირელის კოლეჯის მოსწავლეთა აღიარება

გასულ კვირას დემირელის კოლეჯის წარმატებულ მოსწავლეებს ლექსო ფიჩხაძეს, დავით რიჟინაშვილს, გიორგი კლდიაშვილსა და ლევან გოჯიაშვილს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა უმასპინძლა. კოლეჯის მოსწავლეები ქიმიისა და ინფორმატიკის ეროვნული ნაკრების წევრები არიან. მათ ქვეყანას მხოლოდ ერთ თვეში 4 მედალი მოუტანეს.

ლევან გოჯიაშვილი, გიორგი კლდიაშვილი და დავით რიჟინაშვილი კლასელები არიან. ბიჭები უკვე რამდენიმე წელია STEM დისციპლინებით არიან დაინტერესებული და სხვადასხვა ოლიმპიადებშიც წარმატებით მონაწილეობენ. ლექსო ფიჩხაძეც დემირელის კოლეჯიდანაა და ისიც ბიჭების თანაგუნდელია.

წელს ლევანი და დათო საკუთარი გამოგონებით ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ფინალშიც გადავიდნენ. მათი გამოგონება „სმარტ ვოჩი“ რვა საუკეთესო პროექტს შორის დასახელდა. ბიჭები ლექსო ფიჩხაძესთან ერთად რთული კონკურსის შემდეგ საქართველოს ქიმიის ეროვნულ ნაკრებშიც მოხვდნენ და არაერთ კონკურსში მიიღეს მონაწილეობა. ახალგაზრდებმა ნაკრებთან ერთად მენდელეევის ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადაზე იასპარეზეს, ხოლო მოგვიანებით ტაილანდში გამართულ ქიმიის მსოფლიო ოლიმპიადაზეც მოსინჯეს საკუთარი შესაძლებლობები.ახალგაზრდა ქიმიკოსებმა მსოფლიო ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

კიდევ ერთი მოსწავლე, რომელიც პრემიერ-მინისტრმა დააჯილდოვა გიორგი კლდიაშვილია. იგი კოლეჯის ერთ-ერთი გამორჩეული და ნიჭირი მოსწავლეა. გიორგი წარმოშობით ქუთაისიდანაა. იგი დემირელის კოლეჯში სასწავლო გრანტის საფუძველზე სწავლობს და უკვე რამდენიმე წელია, არაერთი მედალი მოუტანა სკოლასა და ქვეყანას. მისი წლევანდელი წარმატება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქვეყნისთვის. წელს გიორგი ინფორმატიკის ევროპის ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა. მან ოლიმპიადაზე უმაღლესი ქულები დააგროვა და ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა.

◎ ხელისუფლების საყურადღებოდ!

გადავარჩინოთ მომავალი, ავაღორძინოთ რუსთავი!

ალბათ ბევრს ახსოვს მცხეთურ ასანთზე ანეკდოტი, ერთ ჯაშუშს რომელიღაც ობიექტი უნდა გადაეწვა, მთელი კოლოფი ასანთი დახარჯა, მაგრამ ხანძარი ვერ გააჩინა.

სტალინისა და პირველი საბჭოთა ტრაქტორისა არ იყოს, ბელადისთვის უნდა ესიამოვნებინათ, პირველი ტრაქტორის გამოცდაზე მიიწვიეს, ტრახ-ტრახო ამოიხროტინა და ჩაქრა. სტალინმა, მაინც ჩვენიაო, გაამხნევა გაოგნებულ-შეცბუნებული მასპინძლები.

დიახ, ცუდი იყო თუ კარგი, ის მცხეთური, მცხეთელების მიერ დამზადებული ასანთი მაინც ჩვენი იყო, თანაც, რაც მე მახსოვს, კარგადაც ეკიდებოდა.

ახლა კი, ღმერთმა უწყის, საიდან არ შემოაქვთ, რომელი ფირმის, რამდენი ათას კილომეტრგამოტარებული, ცეცხლიც კაგად ეკიდება, მაგრამ...

საპონი რომ საპონია, ისიც ხომ ჩვენი გვქონდა, ბატონი გოგი თოფაძე, აგერ თბილისში აწარმოებდა და მშვენივრად საღდებოდა.

იმ დროს, აგერ ორი ათეული წლის წინ მარტო რუსთავის სამრეწველო საწარმოებში ამზადებდნენ 67 დასახელების ფართო მოხმარების საქონელს, ანუ, ყოველივე იმას, რაც ადამიანებს, ყოველდღიურად სჭირდება, მათ შორის ნაჯახს, ჩაქუჩს, თოკს, ქალბატონებისთვის პარფიუმერულ საშუალებებსაც კი და ეს პროდუქცია არა მარტო ჩვენთან, ყოფილ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც პოპულარული იყო.

მარტო რუსთავში 47 სამრეწველო საწარმო დავანგრიეთ დამოუკიდებლობის საზღაურად. ისე, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, ამ ნგრევა-წეწვაში პირველი ადგილი კი გვიჭირავს. მე, აქ, იმის თქმა მინდა, გონიერი ადამიანები, იმ ნგრევას გადარჩენილ ინფრასტრუქტურას მაინც არ დაკარგავდა, რა ღირს თუნდაც ის, რომ ყოფილი ქარხნის ტერიტორიაზე გადარჩა რკინიგზა თუ ისე მისასვლელი, ზოგან შენობა-ნაგებობა, ელექტროგაყვანილობა, გაზი, წყალი, ყველაფერი ეს ახალ საწარმოში რომ მიიყვანო დიდი თანხა დაგჭირდება, აქ კი, ცოტა ხელს გაკრავ და...

ბიზნესის აწყობას თავი უნდა! ქვეყანა, მთავრობა კი ეკონომიკის განვითარებით, საკუთარი ხალხის სამუშაოზე დასაქმებით, მისი პერსპექტივით ჯეროვნად არ არის დაინტერესებული.

არადა, როგორ სჭირდება ჩვენს დაქცეულ ქვეყანას ეკონომიკის ახალ რელსებზე აწყობა?

ავიღოთ თუნდაც რუსთავი, ჩემს ქალაქში, რომელიც უდაბნოში ააშენა სტალინმა, რომლის სახელის ხსენება დღესაც აურჟოლებს ტვინ-ნაღრძობ არაკაცებს, გადაგვარებულ ნაძირლებს. არადა, ამ ქალაქში ყოველწლიურად 4 ათასი მოზარდი ამთავრებს სკოლას, ათასამდე უმაღლეს სასწავლებელს და სანთლით რომ ეძებო, ერთ სამუშაო ადგილს ვერ იშოვნი, და ეს გრძელდება წლიდან წლამდე, ამ პრობლემაზე მზრუნველი კი აღარავინ არ ჩანს.

დღეს საზოგადოების ნაწილი და ოპოზიცია დაკავებულია ქვეყნის მხსნელად მოვლენილი მეცენატის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ავად ხსენებით, რითაც, არ ვცდები, ტკბებიან ხელისუფლების მაღალ ეშალონებში მოკალათებული საკანთ ხელის ბიჭები, არადა, ქვეყანა, სადაც სოფლის მეურნეობა და მრეწველობა უნდა ყვაოდეს, თითს თითზე არ აკარებენ, ვიმეორებ, რუსთავი, საქართველოსთვის მეოცე საუკუნის უდიდესი მონაპოვარი, როგორც ამას ქართული სიტყვის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა, ისევე გაქრება ქვეყნის თვალსაწიერიდან, როგორც ეს იყო, მეოცე საუკუნის ორმოციან წლებამდე.

წერე და იკითხე, არადა, არაერთი წერილი და კრიტიკული გამოსვლა მიმიძღვნია რუსთავის და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებასთან დაკავშირებულ პრობლემებისთვის, თუნდაც სასმელი წყლის ბიზნესი, აკადემიკოს პაატა გიორგაძისეული სასწაულებრივი ბიზნეს-პროგრამა, რომელიც უპრეცედენტოა საქართველოს ეკონომიკური აღორძინების თვალსაზრისით და რასაც ასე გულმოდგინედ ჩქმალავენ დღემდე.

* * *

დრო, სახელმწიფომ იზრუნოს, თუნდაც იმ ოთხი ათასი ახალგაზრდის მომავალზე, რომლებიც, წელს, გაზაფხულზე გამოემშვიდობნენ სასწავლებლის კედლებს და დიდი ცხოვრების ასპარეზზე, საქართველოს მომავლის ესტაფეტა უნდა ჩაიბარონ.

და განა მარტო მათ, ეს ხომ ათწლეულობით გრძელდება. ვინ მოსთვლის რამდენი დავკარგეთ.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ იმ ხალიბთა შთამომავალნი ვართ, რომელიც „დაბადების“ ღაღადისით ოდითგან ვართ „კვერით ხურო, მჭედელი რვალთა და რკინისაი,“ ჰოდა, გვმართებს საჩვენო ნაჯახი ჩვენვე გამოვკვეთოთ და საკუთარი ასანთით ავანთოთ სახატე სანთლებიც.

გივი ჯახუა,
მწერალი, რუსთავის საპატიო მოქალაქე, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტი



ორკესტრი – არაპროფესიონალთაგან?!

ხალხი უფრო პრინციპულად ფიქრობს!..

„ქართულმა ოცნებამ“, რომელიც თანდათან აშკარად კარგავს ჭეშმარიტ ქართულ სულისკვეთებას, თავისი უნდილი, ნაძალადევი ლიბერალიზმით სულ გაათავხედა ისედაც საზღვარდაუდებლად გათავხედებული ნაციონალები, რომლებიც უკვე შეტევაზე არიან და, რა დასამალია, პრინციპულად მხარდამჭერი ხალხის თვალში პირვანდელი სახე დაუკარგეს „ოცნების“ ეგრეთ წოდებული „ნაზი პოლიტიკის“ ხელისუფლებას, ანტისახელმწიფოებრივ ოპოზიციურ და მოსყიდულ არასამთავრობო ძალთაგან ერთგვარად შეშინებულსა და დამფრთხალს.

გუშინ ერთ მუშტად შეკრული „ოცნების“ ამომრჩეველი დღეს დაბნეული და განცვიფრებულია, რატომ ჩაიყენა ხელისუფლებამ თავი ასეთ უსუსურ მდგომარეობაში, როცა იმის მაგივრად, რომ ხმამაღლა, საქვეყნოდ მოითხოვოს ქვეყნისა და ხალხის წინაშე დამნაშავე ყოფილი პრეზიდენტის კანონიერი გადმოცემა და სახალხო გასამართლება, დგას და უმწეოდ იმართლებს თავს, არა, პოლიტიკურად მე არავის არ ვდევნიო, მით უმეტეს, სააკაშვილსო, რომელსაც თურმე არა მარტო მთელი უკრაინა, არამედ მთელი საქართველოც მხარს უჭერს.

ეს მხარდაჭერა კი იმაში გამოიხატება, რომ სააკაშვილი ერთდროულად თურმე შეიძლება რომ უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტიც კი გახდეს. (გესმით? ერთდროულად!)

აი, სადამდე მიდის საქმე, როცა XXI საუკუნის ავანტიურისტ კვაჭი სააკაშვილს საკადრისად ლაგამი არ ამოსდო ამჟამინდელმა „ნაზმა“ და „ნარნარმა“ ხელისუფლებამ.

არადა, ხალხი პრინციპულად მოითხოვს, რომ დამნაშავე სააკაშვილთან ერთად კანონიერად დაისაჯოს ყველა ამ ბოროტმოქმედის დამქაში და სახელმწიფოებრივი დანაშაულის მონაწილე, ვინც ზოგი პარლამენტში და ზოგიც, პარლამენტის გარეთ კვლავ განაგრძობს ანტიეროვნულ მავნებლურ საქმიანობას.

პარტიებში ამჟამად ათასი ჯურის ადამიანები არიან თავმოყრილი, რომელთათვისაც პოლიტიკა ბიზნესია, უწინარესად, ხელისუფლებაში მოსახვედრად, რათა კი არ აშენონ, არამედ ძარცვონ და ყვლიფონ ქვეყანა (ხათუნა გოგორიშვილსა და გიგი წერეთელს პარლამენტარობის გარდა, როგორც ჩანს, სხვა ხელობა არა აქვთ!).

ხალხმა ძირფესვიანად უნდა იცოდეს, ვინ არიან ეს ადამიანები, ვისაც ქვეყნის სამართავად ვირჩევთ.

ჩვენი პარლამენტი და ხელისუფლებაც ჯერჯერობით, დიდად სამწუხაროდ, იმ არაპროფესიონალ შემსრულებელთაგან შედგენილ ორკესტრს გვაგონებს, რომელ შემსრულებელთაც სანოტო ნიშნების ელემენტარული ცოდნაც კი არ გააჩნიათ.

აი მთელი ჩვენი ამჟამინდელი პოლიტიკური ცხოვრების ყურისმომჭრელი კაკაფონიის უმთავრესი მიზეზი.

და წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნება მსმენელი, ანუ ჩვენ, ხალხი, როცა ასეთ ორკესტრს ისეთი დირიჟორი ჰყავს, როგორიც ამჯერად არც ერთი ქვეყნის მოქალაქე, უპასპორტო, ავანტიურისტი და კარიერისტი კვაჭი სააკაშვილია!..

გურამ წიკლაური

P. S. იმ ერთი გატრაწიანებული ბალღისა არ იყოს, ნაციონალებსაც გასდით და იმიტომ ჭყიპინებენ ასე გაუთავებლად. ხალხის გასაკვირად თქვენ ისიც კი ვერ შეძელით „ოცნების“ „ნაზო“ და „ნარნარო“ ხელისუფლებავ, რომ „ცრუსთავი-2“-ის საკითხი მთელი ამ ხნის მანძილზე გაგერკვიათ თავის გვარამიანად, და ბოლოს და ბოლოს გაგვეგო, ვის ეკუთვნის ეს გესლის მნთხეველი მანქანა და როდემდე უნდა წამლოს მსმენელი და მაყურებელი.

გ. წ.

თვითონ თავისუფალი გიჟი, ახლა უკრაინას ათავისუფლებს!

მე დავბრუნდები უკრაინაში, ვაპირებ უკრაინის საზღვრის ერთ-ერთი ევროპული სახელმწიფოს გავლით გადაკვეთას, – ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა.

როგორც ოდესის ყოფილმა გუბერნატორმა აღნიშნა, მას უკრაინის დაცვაზე პასუხისმგებლობა აქვს აღებული.

„ჩემი ნივთები უკრაინაშია. ჩემი მეგობრებისა და იმ პარტიის წევრთა უმრავლესობა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, უკრაინაში არიან. ორ დღეში დავასახელებ უკრაინაში დაბრუნების კონკრეტულ თარიღს. მე ავიღე უკრაინელების დაცვაზე პასუხისმგებლობა. ეს პოროშენკოს და ოლიგარქებს არ სურთ. მე მათი არ მეშინია. ვსაუბრობ ევროპულ მედიასთან. მაქვს შეხვედრები ევროპელ პოლიტიკოსებთან. მათ მოვუწოდებ უკრაინელი ხალხისა და უკრაინის მხარდაჭერისკენ. ჩემი უახლოესი გეგმები უკრაინას უკავშირდება. უკრაინა ოლიგარქებისგან უნდა გავათავისუფლო“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პოლიცია და აქციის მონაწილეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

რკინიგზის დეპარტამენტის შენობასთან საპატრულო პოლიციამ გაფიცულ თანამშრომლებს კარვების გაშლის საშუალება არ მისცა. სამართალდამცველებმა კარვები დაშალეს, რასაც აქციის მონაწილეების მხრიდან პროტესტი მოჰყვა.

გურჯაანის რკინიგზის თანამშრომლები სამუშაო ადგილის შეცვლას აპროტესტებენ. ისინი გუშინ დილიდან რკინიგზის დეპარტამენტთან იმყოფებოდნენ და აცხადებდნენ, რომ ხელმძღვანელობამ ისინი სამუშაოდ მარნეულში გადაიყვანა, თუმცა მათი მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს არ უზრუნველყოფს.

სისტემის მოდერნიზაციას გერმანელები აფინანსებენ

გერმანული კომპანია 'Die Deutsche Investitions 2 und Entwicklungsgesellschaft mbH4 (DEG), რომელიც წარმოადგენს გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის შვილობილ კომპანიას, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ ერთად ხელი მოაწერა დაახლოებით 25 მილიონი ევროს ოდენობის დაფინანსების ხელშეკრულებას. 2008 წელს პრივატიზებული GWP-ი თბილისის მოსახლეობას უწევს წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებას. ამ დაფინანსებითა და ნიდერლანდული „FMO Entrepreneurial Development Bank“-ის მიერ გამოყოფილი თანხით (40 მილიონი დოლარი) კომპანიას ექნება ხანგრძლივი დაფინანსება გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციისთვის, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ასევე ბოდორნას წყლის ელექტროსადგურის მშენებლობისთვის.**

ამ პროექტით DEG-ს თავისი წვლილი შეაქვს თბილისის წყალმომარაგებისა და წყალარინების მენეჯმენტის გაუმჯობესების საქმეში. განსაკუთრებით ხელსაყრელი დაფინანსების პირობების გარდა GWP-ს ასევე გაეწევა დახმარება, რათა შენარჩუნდეს DEG-ს გარემოს დაცვის მაღალი სტანდარტები და ევროკავშირის ემისიების სტანდარტები საკანალიზაციო სისტემებისთვის, რაც სასიკეთოდ აისახება თბილისის ყველა მაცხოვრებლზე.

◎ კიდევ ერთი მკვდრადშობილი კანონი?

ხმაური „ძვირი სიამოვნება“ გახდა!



15 აგვისტოდან გადამეტებული ხმაურისთვის შესაბამისი ჯარიმა იწერება. ცვლილებები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ივნისში შევიდა. ძნელი სათქმელია, რამდენად მოხერხდება კანონის აღსრულება. საქართველოში უამრავი კანონია ძალაში, რომელიც პარლამენტმა კი დაამტკიცა, მაგრამ მისი თვალის მიდევნება და დაცვა, პრაქტიკულად, ვერ ხერხდება.

ასეთ „კანონებს“ მკვდრადშობილი ჰქვია!

ხმაურის ამკრძალავი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედ რედაქციაში დღის საათებად 08.00 საათიდან 23.00 საათამდე, ღამის საათებად კი 23.00 საათიდან 08.00 საათამდე პერიოდი განისაზღვრა. ეს იმიტომ გახდა საჭირო, რომ დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა დონის ხმაურია შეზღუდული.

საცხოვრებელ სახლებში დღის საათებში ხმაურის შემღწევი ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 35 დეციბალს, ღამის საათებში კი — 30 დეციბალს. რეგულაციები დაწესდა იმ კაფე-ბარებისთვის, რომლებიც საცხოვრებელ სახლებთან ახლოს არის განთავსებული. დღის საათებში ასეთ კაფე-ბარებში ხმაური არ უნდა აჭარბებდეს 50 დეციბალს, ღამის საათებში კი — 40 დეციბალს.

ღამის საათებში აიკრძალა პიროტექნიკის გამოყენებაც. ფიზიკური პირი — 150 ლარით, იურიდიული პირი კი 500 ლარით დაჯარიმდება. სამართალდარღვევის ჩადენიდან ერთი წლის განმავლობაში ქმედების ხელმეორედ და ყველა მომდევნო ჩადენა კი ფიზიკური პირის — 300 ლარით, ხოლო იურიდიული პირის 1000 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს.

კანონპროექტის ინიციატორის ბექა ოდიშარიას თქმით, ეს არის ევროპული მიდგომა, როდესაც რომელიმე ბიზნესი (კლუბები, გასართობი დაწესებულებები) არ იგებს სხვა ადამიანების შეწუხებისა და პირად სივრცეში ხმაურიანად შეჭრის ხარჯზე. დეპუტატის თქმით, ხმაურის დეციბალების დამდგენი ხელსაწყოები თავდაპირველად, შესაძლოა, საპატრულო პოლიციის რამდენიმე ათეულ ეკიპაჟს გადაეცეს, ხოლო შემდეგ დადგინდება, თუ ვინ გააკონტროლებს ამ საკითხს.

ხმაური არ იკრძალება ახალი წლის დღეებში, კერძოდ, 31 დეკემბრის 21 საათიდან 2 იანვრის 23 საათამდე და 13 იანვრის 21საათიდან 14 იანვრის 23 საათამდე, ასევე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (9 აპრილი და 26 მაისი) სადღესასწაულო დღეებში.

„ღამის ხმაურის პრობლემებთან დაკავშირებული წესები“ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალურმა ბიურომ 2009 წელს მიიღო. ეს ეხება ადამიანის ორგანიზმზე ხმაურის მავნე ზემოქმედებას, განსაკუთრებით ღამის საათებში. დადგენილი სტანდარტების მიხედვით, ღამის საათებში ხმაურის დონედ განსაზღვრულია 40 დეციბალი. ქალაქის აქტიურ ადგილებსა და ქუჩებში ხმაურის დონედ განსაზღვრულია 55 დეციბალი.

ჯანდაცვის ორგანიზაცია აღიარებს, რომ ევროპის მოსახლეობის ყოველი მეხუთე მოსახლე 55 დეციბალზე მეტი ხმაურის ზონაში იმყოფება.

თუ ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში იქნება ასეთ ხმაურიან გარემოში, არ არის გამორიცხული, რომ მას აუწიოს არტერიულმა წნევამ და პრობლემა შეექმნას გულის ნორმალურ მუშაობას. ასევე, პრობლემები შეექმნება სმენასთან და ძილთან დაკავშირებით. დროთა განმავლობაში, მუდმივ ხმაურში ყოფა-ცხოვრებამ ადამიანის ფსიქიკაზე შეიძლება გავლენა იქონიოს და წარმოქმნას სერიოზული პრობლემები.

ხმაურის დონის შეზღუდვის მიზნით განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებს შესაბამისი კანონები და ჯარიმები ხმაურის დასაშვები დონის გადაჭარბებისთვის. მონტენეგროში, კოსოვოში, ხორვატიაში, დიდ ბრიტანეთში მოქმედებს კანონი „ხმაურისგან დაცვის შესახებ“ და კანონშივეა გაწერილი ჯარიმები წესების დარღვევისათვის. **ჩერნიგორიაში ჯარიმაა 3400-4000 ევრო, კოსოვოში — 500-1000 ევრომდე, ხორვატიაში — 1300-დან 2000 ევრომდე, დიდ ბრიტანეთში — 5 000-20 000 გირვანქა სტერლინგი. ლატვიაში ფიზიკური პირებისთვის ხმაურის წესების დარღვევისათვის ჯარიმაა 30-355 ევრო, ხოლო იურიდიული პირებისთვის — 70-700 ევრო.**

ნიუ იორკში მოქმედებს ხმაურის შესახებ კანონი, რომლის თანახმადაც გადაჭარბებული ხმაურისთვის პირი ჯარიმდება 250 დოლარით პირველ ჯერზე, გამეორებით შემთხვევაში — 500 დოლარით, მესამე ჯერზე — 750, ხოლო მეოთხე ჯერზე — 1000 დოლარით.

ბექა დანელია

რა ღირს დასაქმებულის სიცოცხლე?!

დასაქმების ადგილას დაზარალებულთა სტატისტიკა საქართველოში მზარდია და, ამასთან, დასაპირისპირებლად ბოლო წლებში, პრაქტიკულად, ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. სამწუხაროდ, უსაფრთხოების წესების დარღვევა, მოძველებული აპარატურა, დამქირავებლის გულგრილობა და ზოგ შემთხვევაში თავად დაზარალებულთა დაუდევრობაც უმძიმესი შედეგებით სრულდება.

2007-2016 წლებში, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით საწარმოო ტრავმებისგან 416 ადამიანი დაიღუპა და 716 მძიმედ დაშავდა. 2016 წელს გარდაიცვალა 58 და მძიმედ დაშავდა 84 ადამიანი. 2015 წელს გარდაიცვალა 42, ხოლო მძიმედ დაშავდა 80. 2011 წლიდან დღემდე სამუშაო ადგილებზე სასიკვდილო შემთხვევების დინამიკა მზარდია.

ამ სტატისტიკური მონაცემების მიღმა ასობით ადამიანისა და ოჯახის ბედი დგას, მათ ფონზე კი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ინიციატივები, რომელიც სხვადასხვა კუთხით უსაფრთხოების დაცვის ვალდებულებებს ეხება.

ამ დღეებში პარლამენტში შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის სამუშაო ჯგუფის რიგით მეოთხე შეხვედრა გაიმართა. მესამე სექტორის წარმომადგენლებს კანონპროექტთან დაკავშირებით შენიშვნები აქვთ. იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, რომლებიც ამ თემებზე მუშაობენ, 5 000-ლარიანი სანქციის ზღვარის გაზრდაა. როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში აცხადებენ, ამ კუთხით კანონში ცვლილება, შესაძლოა, მართლაც განხორციელდეს და მძიმე დარღვევის შემთხვევაში კომპანია მაქსიმალურად — 50 ათასი ლარით — დაჯარიმდეს.

თუმცა ამ ფონზე მნიშვნელოვანია, რომ სანქციები იყოს არა ნომინალური და ფორმალური, არამედ მნიშვნელოვანი. უნდა შემუშავდეს გარკვეული მექანიზმები, თუ როგორ მოხდება გრადაცია, რადგან მაკონტროლებლისთვის თავისუფალ რეჟიმში გადაწყვეტილების მიღების უფლების მინიჭება მნიშვნელოვანი ბიუროკრატიული და კორუფციული რისკების მატარებელია.

„ჩვენ შევთანხმდით ძალიან მაღალ ნიშნულზე, რომელიც, შესაძლოა, 50 000-მდეც კი აღწევდეს. ეს იმისათვის, რომ სანქცია იყოს რეალური და მისი გადახდა არ იყოს მარტივი არაკეთილსინდისიერი დამსაქმებლისთვის, რომელიც არ იცავს სტანდარტებს“, — განაცხადა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრმა დიმიტრი ცქიტიშვილმა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია დარღვევების კონკრეტული ფარგლების განსაზღვრა.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული ახალი კანონპროექტით, 2019 წლის 1 იანვრიდან შრომის ინსპექციას მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე წინასწარი გაფრთხილების გარეშე შესვლის უფლება უნდა მიენიჭოს.

ამჟამად არსებული კანონპროექტი, რომელზეც ჯანდაცვის სამინისტრომ იმუშავა, 50-დან 5 000 ლარამდე სანქციებს ითვალისწინებს. კანონპროექტით განსაზღვრული მაქსიმალური 5 000-ლარიანი ჯარიმა შრომის უსაფრთხოების ნორმების კრიტიკული შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაშია განსაზღვრული. ცხადია, არც ეს თანხა და არც 50 ათას ლარამდე გაზრდილი თანხა არ არის იმის გარანტია, რომ შრომითი უფლებები საქართველოში დაცული იქნება. სამწუხაროდ, არც მაკონტროლებელთა რეიდებია იმის გარანტია, რომ მძიმე სტატისტიკა, რომელიც დასაწყისში მოვიყვანეთ, უკეთესობისკენ შეიცვლება. თუმცა იმაზე, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებია გადასადგმელი და სიტუაცია გარდასატეხი, საქართველოში უკვე პრაქტიკულად ყველა თანხმდება. განსხვავებები ძირითადად იმ მიდგომებშია, რომლითაც ეს პრობლემა უნდა დაიძლიოს.

პირველი ქართული ვისკის „JIMSHERI“ მსოფლიო აღიარება

მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ სადეგუსტაციო კონკურსში — World whiskey Masters (London, 2017), სხვადასხვა ქვეყნიდან წარმოდგენილ ათეულობით კონკურენტს შორის ქართულმა ვისკიმ — „JIMSHERI“ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

კონკურსი იმით არის გამორჩეული, რომ 18 კაციანი საერთაშორისო ექსპერტები ბრმად არჩევდნენ ნიმუშებს. ვისკი „JIMSHERI“ შეფასებულია ქართული მეღვინეობისა და კულტურის ახალ აღმოჩენად.

„მოხარული ვარ, რომ ლონდონის ასეთ მნიშვნელოვან კონკურსში, სადაც ე.წ. ჟიურის წევრები „ბრმა მეთოდით“ იღებენ გადაწყვეტილებას, პირველმა ქართულმა ვისკიმ სერიოზული განაცხადი გააკეთა ვისკის სამყაროში.

პირველი ქართული ვისკი სულ ოთხი თვეა როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე გამოჩნდა და თავისი ნიშა დაიმკვიდრა. ლონდონის მსოფლიო ვისკის კონკურსში მიღებული წარმატებით „JIMSHERI“ საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში საპატიო ადგილს იკავებს და ვფიქრობ, ის მალე გახდება ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათი. ეს განაცხადი კი ჩემგან, როგორც ვისკის ავტორისგან, მოითხოვს ასევე თამამი გეგმების განხორციელებას. მერწმუნეთ, ვისკის დაგემოვნების შემდეგ ნახავთ, რომ სითხე არის ქართული აქცენტის ინდივიდუალობით გამორჩეული“ — განაცხადა ვისკის ავტორმა, ბიზნესმენმა ჯიმშერ ჩხაიძემ.

ქართული ვისკის პირველი ექსპორტი ჩინეთში განხორციელდა, შემდეგ კი პოლონეთში, ყაზახეთში, უკრაინასა და ბალტიისპირა ქვეყნებში. მოლაპარაკებები მიმდინარეობს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებზე შესვლასთან დაკავშირებით. პირველი ქართული ვისკის ბოთლისა და ეტიკეტის დიზაინი ეკუთვნის დიზაინერ ზვიად ციკოლიას. World whiskey Masters-ში მონაწილეობდა ევროპის ქვეყნები, საქართველო, კანადა, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, ინდოეთი და სხვა.

საგადასახადო სამართალდარღვევის 1049 ფაქტი გამოვლინდა

7-13 აგვისტოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად საგადასახადო სამართალდარღვევის 1049 ფაქტი გამოვლინდა.

კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 7106 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 82 ფაქტი; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 72 შემთხვევა; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 895 ფაქტი.

ომი აფხაზეთში 25 წლის წინათ დაიწყო...

როგორ დაიწყო რუსეთმა საქართველოს „დახვეწილი წამება“?!

საქართველოს უახლესი ისტორიის თარიღთაგან 14 აგვისტო გამორჩეულია. ოღონდ არა იმიტომ, თითქოს ამ დღემ რაიმე თვალსაზრისით განსაზღვრა პროცესი – უბრალოდ, 14 აგვისტოს მოხდა კონცენტრაცია ყველა იმ პრობლემისა, რომელიც წვეთ-წვეთად გროვდებოდა სხვადასხვა „მიმართულებიდან“ თვეების, წლებისა და ათწლეულების განმავლობაში.

აფხაზეთში ომიც ქართული სახელმწიფოს „ჭეშმარიტების მომენტი“ გახდა და საბოლოოდ გამოავლინა ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის შინაგანი, სისტემური სისუსტე.

რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ სუბიექტურ მიზეზებზე, ომს აფხაზეთში ძალიან ღრმა ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ხოლო 1988-1989 წლების მოვლენათა შემდეგ იგი აბსოლუტურად გარდაუვალი გახდა.

* * *

გაეროში გაწევრების მიუხედავად, ვითარება ქვეყანაში კვლავინდებურად დაძაბული და ფეთქებადსაშიში რჩებოდა. ზვიადისტთა აქტივობამ (თბილისსა და სამეგრელოში) პერმანენტული ხასიათი შეიძინა. გროზნოში თავშეფარებულ გამსახურდიას, რასაკვირველია, აღარაფერი ახსოვდა პირადი წყენისა და შურისძიების გარდა. ედუარდ შევარდნაძისადმი სიძულვილი მის პიროვნულ ძალებს აათმაგებდა. არადა, საქართველოს პირველი პრეზიდენტი იმ დროს უკვე არა მხოლოდ ფიზიკურად (სამხედრო თვალსაზრისით), არამედ პოლიტიკურადაც დამარცხებული იყო. თუმცა მას და მის მომხრეებს მარცხთან შერიგება არაფრით სურდათ.

ლოთი ქობალიას მებრძოლებმა ხელისუფლების წარმომადგენელთა გატაცება დაიწყეს. სხვადასხვა დროს გაიტაცეს გია ყარყარაშვილი, რომან გვენცაძე, სანდრო კავსაძე. ვითარება სამეგრელოში სრულიად უმართავი იყო. არა მხოლოდ ზუგდიდში, არამედ სოხუმშიც იმართებოდა მრავალათასიანი მიტინგები. შექმნილი ვითარებით ბრწყინვალედ ისარგებლა ვლადისლავ არძინბამ. სწორედ მაშინ გამოვლინდა პირველად მისი განსაკუთრებული გაიძვერობა, ანუ უდავო პოლიტიკური ნიჭი: ზვიადისტებთან შეხვედრისას არძინბა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს თანაუგრძნობდა „კანონიერ პრეზიდენტს“, გმობდა „შევარდნაძის ხუნტას“ მისი „არაკანონიერების“ გამო. ამავე დროს, შევარდნაძე-იოსელიან-სიგუა-კიტოვანის ხელისუფლებასაც ოსტატურად ეთამაშებოდა და ყოველნაირად ცდილობდა მისთვისაც ეგრძნობინებინა, რომ შესაძლებელი იყო ალიანსი „ზვიადიზმის წინააღმდეგ“.

სინამდვილეში, რასაკვირველია, ვლადისლავ არძინბას „ზვიადისტებიც“, „ანტიზვიადისტებიც“, შევარდნაძის მომხრეებიც, გამსახურდიას მიმდევრებიც, ისევე, როგორც ყველა ქართველი, ერთნაირად სძულდა და ეზიზღებოდა. უბრალოდ, მან მიიღო შანსი, გამოეყენებინა საქართველოს შიდა პრობლემები საკუთარი სეპარატისტული მიზნების განსახორციელებლად და ამ შანსით ბრწყინვალედ ისარგებლა.

24 ივნისს, სწორედ იმ დღეს, როცა ზვიადისტებმა „გადმოტრიალება“ სცადეს და ტელევიზიის შენობა აიღეს, არძინბამ უბრძანა აფხაზურ ფორმირებებს, დაეკავებინათ აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა. გივი ლომინაძე კაბინეტიდან გააძევეს და ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენეს.

არძინბამ ოსტატურად გამოიყენა საქართველოში მიმდინარე მოვლენათა პოლიტიკური ასპექტიც. როგორც მოგახსენეთ, საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის“ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენას მან უპასუხა საბჭოთა აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენით, რომლითაც აფხაზეთი, თუმცა „საბჭოთა“, მაგრამ (რაც მთავარია) საქართველოსგან იურიდიულად გამიჯნული იყო.

სეპარატისტებმა უმალვე დაარღვიეს ზვიად გამსახურდიასთან მიღწეული დროებითი შეთანხმება (ტაქტიკური კომპრომისი) და მინისტრთა დანიშვნა აფხაზური უმაღლესი საბჭოს ქართული დეპუტაციის თანხმობის გარეშე დაიწყეს. ამათაც უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს სხდომების წამდაუწუმ დემონსტრაციულად დატოვების გარდა.

არძინბა ყოველნაირად ცდილობდა (ახერხებდა კიდეც) ორივე დაპირისპირებული ქართული მხარისათვის მიეცა არგუმენტი ერთმანეთის წინააღმდეგ: ზვიადისტები დარწმუნებული იყვნენ, რომ აფხაზეთი კანონიერი ხელისუფლების დამხობის გამო იკარგებოდა. ახალი ხელისუფლება და მისი მხარდამჭერებიც არძინბას გათავხედებას (ასევე არც თუ უსაფუძვლოდ) ზვიადისტთა აქტივობას უკავშირებდნენ.

სულ სხვა ელფერი შეიძინა აგრეთვე გამსახურდია-არძინბას ადრინდელმა კომპრომისმა – აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში „კვოტირებული არჩევნების“ შესახებ, რის შესაბამისადაც ქართველებმა 26 მანდატი მიიღეს, აფხაზებმა 28, ხოლო სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა – 11.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ისე მარტივად არ არის საქმე, როგორც ზოგიერთს სურს წარმოადგინოს.

იმ ხალხს, ვინც დღემდე გაიძახის: „გამსახურდიამ და პროფესორმა ლევან ალექსიძემ აფხაზეთში ქართულ უმრავლესობას აფხაზებზე ნაკლები მანდატი მიაკუთვნესო“ და ამაში ხედავს პრობლემის საწყისს, ვერაფრის დიდებით ვერ შეაგნებინებ, რომ აფხაზეთში ქართული მოსახლეობა უმრავლესობას არ წარმოადგენდა! იგი უმრავლესობა (43 პროცენტი) იყო აფხაზებთან (18 პროცენტი) შედარებით, მაგრამ უმცირესობა – მთელს „რუსულენოვან მოსახლეობასთან“ შეფარდებით. აფხაზები, რუსები, ბერძნები და სომხები, სხვა ხალხთა რუსულენოვან წარმომადგენლებთან ერთად საკმაოდ კონსოლიდირებულად მოქმედებდნენ, რაც დაადასტურა 1991 წლის მარტის სსრკ რეფერენდუმმა. შეგახსენებთ, რომ იმ რეფერენდუმზე, აფხაზეთის მოსახლეობის რუსულენოვანმა უმრავლესობამ ერთსულოვნად ხმა მისცა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას, ანუ შეფარდება სინამდვილეში იყო 43-57-თან. თუ არჩევნები აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ყოველგვარი კვოტირების გარეშე ჩატარდებოდა, მაშინ (ვთქვათ) 100 სადეპუტატო მანდატიდან ქართველებს ერგებოდათ 43, ხოლო რუსულენოვან მოსახლეობას – 57. დაახლოებით ასეთი შეფარდება არსებობდა საბჭოთა პერიოდის აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში. ოღონდ ამ შემთხვევაში, აფხაზეთის ქართული თემის წარმომადგენლებს უმაღლეს საბჭოში საქმე ექნებოდა არა აფხაზურ, არამედ რუსულენოვან უმრავლესობასთან, რომელთან კომპრომისიც (საბჭოთა კავშირის არსებობისა და საქართველოში იმ დროინდელი ვითარების გათვალისწინებით), ეროვნული ხელისუფლების მესვეურებს უფრო ნაკლებრეალურად მიაჩნდათ, ვიდრე აფხაზებთან. მით უმეტეს ე.წ. „კავკასიური ერთობის“ იდეის გათვალისწინებით, რის გამოც, თურმე „სჯობს აფხაზებთან გვქონდეს საქმე, ვიდრე კრემლის მიერ შექმნილ ინტერნაციონალურ ფრონტთან“.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს არ იყო მხოლოდ გამსახურდიასათვის ან მისი იმდროინდელი გარემოცვისათვის დამახასიათებელი ილუზია.

თავის მხრივ, აფხაზურმა მხარემაც ისარგებლა ამ ილუზიით, ვინაიდან მათ, რასაკვირველია, ერჩიათ თავად, დამოუკიდებლად შეექმნათ უმრავლესობა უმაღლეს საბჭოში, ვიდრე „რუსულენოვანი უმრავლესობის“ შემადგენლობაში.

1992 წლის ვითარების კონტექსტში კი არძინბამ (მისი არჩევის მხარდაჭერაც იმავე „კავკასიური იდეის“ გამოვლინება იყო – პარტიულ ფუნქციონერს მაინც აჯობებსო) კომპრომისი უკვე მთლიანად თავის სასარგებლოდ შეატრიალა (მაშასადამე, მასში ობიექტურად მაინც იდო ამის შესაძლებლობა) და უმრავლესობა ცალმხრივი გადაწყვეტილებების მისაღებად გამოიყენა.

გავიხსენოთ, რა ეშმაკურად მოქმედებდა არძინბა – ქართული დეპუტაციის თანხმობის გარეშე იგი მხოლოდ „მოვალეობის შემსრულებლად“ ნიშნავდა მინისტრებად აფხაზური ეროვნების წარმომადგენლებს. პრემიერ-მინისტრად კი დანიშნა გარუსებული ზარანდია, რომელიც ქართველად ძნელად თუ მიიჩნეოდა, მაგრამ ფორმალურად, შეთანხმება (უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე – აფხაზი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე – ქართველი) არ დარღვეულა.

* * *

აფხაზები, რა თქმა უნდა, ყურადღებით აკვირდებოდნენ მოვლენათა განვითარებას სამეგრელოში, სადაც სხვადასხვა შეიარაღებულ ფორმირებათა თარეშმა მოსახლეობა აღაშფოთა. სეპარატისტებისათვის ესეც ნამდვილი „მისწრება“ იყო. მით უმეტეს, რომ თბილისშიც, ანტიზვიადისტურმა თემამ ძალიან უცნაური ფორმა მიიღო. ერთ-ერთი ქართული საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ზვიადისტებმა თითქოს აფხაზებს შესთავაზეს ერთობლივი, მეგრულ-აფხაზური სახელმწიფოს შექმნა. ეს ცნობა უმალვე აიტაცა რუსულმა მედიამ.

არძინბას უმაღლესი საბჭო ზედიზედ იღებდა გადაწყვეტილებებს, დადგენილებებს, კანონებს და აფხაზეთი სწრაფად გამოჰყავდა საქართველოს იურიდიული სივრციდან. მიუხედავად ამისა, ედუარდ შევარდნაძეს შესანიშნავად ესმოდა: აფხაზეთში ომი საქართველოსთვის კატასტროფას ნიშნავდა. ამას აღიარებდა ქართული პოლიტელიტის უდიდესი ნაწილიც, მაგრამ მდგომარეობა საქართველოში იმდენად არეული და წინააღმდეგობრივი იყო, რომ ხელისუფლება, ფაქტობრივად, იძულებული გახდა საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა.

ცნობილი რუსი სამხედრო ისტორიკოსი ვიქტორ სუვოროვი წერს: ომს ხშირად იწყებენ არა იმიტომ, რომ მისი მოგების იმედი აქვთ, არამედ რაკი სხვა გზა არა აქვთ.

ალოგიკურობა და პარადოქსი ამ გამონათქვამში მხოლოდ მოჩვენებითია.

აფხაზეთის პრობლემა არც შევარდნაძის ხელისუფლებას შეუქმნია და არც „გამსახურდიას რეჟიმს“, მაგრამ ეს პრობლემა შიდაქართული დაპირისპირების ძალიან მძლავრი ფაქტორი გახდა.

ნიკა იმნაიშვილი

(დასასრული მორიგ ნომერში)

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამთო ტექნიკური მომზადების კურსი გაიარეს

შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 15-მა თანამშრომელმა „მაღალი მთის სამთო ტექნიკური კურსი“ გაიარა. სწავლების დასრულების შემდეგ, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორმა მინდია ლორთქიფანიძემ მათ შესაბამისი სერტიფიკატები გადასცა.

ტრენინგი თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლის ორგანიზებით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ჩატარდა.

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საჩხერის სამთო მომზადების სკოლის ინსტრუქტორების დახმარებით, მაღალ მთაზე გადაადგილების ხერხები, დაბრკოლების გადალახვის ტექნიკა, დაზარალებულის დახმარება და ევაკუაციის საკითხები შეისწავლეს.

სასწავლო კურსის მიზანი იყო განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მოსამსახურეების კვალიფიკაციისა და მომზადების დონის ამაღლება.



ანატოლი ხრულიოვი:
ამჯერად მშვიდობისთვის იძულებას ბოლომდე მივიყვანთ...

2008 წლის აგვისტოს ომის მე-9 წლისთავზე „კომსომოლსკაია პრავდას“ სამხედრო მიმომხილველი 58-ე არმიის ყოფილ მეთაურ ანატოლი ხრულიოვს ესაუბრა.

ქართველი მკითხველისთვის და ქვეყნის ხელისუფლებისთვის ერთობ საგულისყურო იქნება თუ რას და როგორ ფიქრობს რუსი სალდაფონი.

...მეგონა, ყოფილ მეთაურს მოსკოვის რომელიმე ელიტურ რაიონში, ან ფეშენებელურ აგარაკზე ვიპოვიდი, ის კი... აფხაზეთში აღმოჩნდა — უკვე გენერალ-პოლკოვნიკის წოდებაში, რომელიც მას იქაურმა ხელმძღვანელობამ მიანიჭა. დღეს ხრულიოვი შეირაღებული ძალების გენერალური შტაბის მეთაური, აფხაზური თავდაცვის უწყების მინისტრის მოადგილეა.

მშვიდობისთვის იძულება

ვახსენე თუ არა „ომის მორიგი წლისთავი“, ანატოლი ნიკოლაევიჩმა შემისწორა:

— წლისთავი კი არა, 9 წელი სააკაშვილის მშვიდობისთვის იძულებიდან.

— შეიცვალა თუ არა თქვენი წარმოდგენები 2008 წლის აგვისტოში ქართულ ჯარებთან ბრძოლის მიზეზებისა და მიმდინარეობის შესახებ? იქნებ ზოგჯერ გეფიქრებათ: „ეჰ, იმ დროს სხვაგვარად უნდა მოვქცეულიყავითო“?

— ყველაფერს ზუსტად ისე გავაკეთებდი, როგორც მაშინ. რა თქმა უნდა, იმ მოვლენებს ხშირად აანალიზებ, ფაქტებს უსადაგებ... ის აგვისტო არ მიშვებს. თუმცა არანაირი ეჭვი არ მაქვს: იმხანად არსებული ვითარების კვალობაზე ჩვენ სწორად ვმოქმედებდით.

— რუსეთის გენშტაბის იმჟამინდელი ხელმძღვანელობა მიანიშნებდა, რომ 58-ე არმიის ხელმძღვანელობა საბრძოლო მოქმედებებისთვის მზად არ იყო. არაერთხელ ითქვა, რომ საბრძოლო ტექნიკა საშინლად იყო მომზადებული...

— ნათქვამია: ახლობელს გადააბრალე, ფონს ის გაგიყვანსო. საკუთარი შეცდომები გენშტაბის იმჟამინდელ ხელმძღვანელს ვიღაცისთვის უნდა გადაებრალებინა. და გადააბრალეს ტექნიკის მოუმზადებლობას. მოდით, დავფიქრდეთ: თუ მანქანა მზად არაა, მასში ვინ ჯდება სამგზავროდ?... ტექნიკას მუდმივად უნდა ამზადებდე, აკომპლექტებდე. ვადასტურებ, ის ძველი იყო — 15-17 წლის, გავლილი ჰქონდა ჩეჩნეთის ორი კამპანია, თუმცა ტექნიკურად გამართული და დაკომპლექტებული იყო. პირადი შემადგენლობა დარწმუნებული იყო თავის ტექნიკაში — ყველა წვრთნა მისი გამოყენებით ტარდებოდა. ოფიცრებმა იცოდნენ საკუთარი ამოცანები, კარგად იყვნენ გაწვრთნილები. ამიტომაც გაართვეს თავი დასახულ მიზნებს. უბრალოდ, როდესაც შენ თვითონ — მოსკოვში მჯდომი ჩაფლავდი, საკუთარი გენშტაბისეული კაბინეტის სიმაღლიდან საჭირო გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღება ვერ შეძელი, განტევების ვაცი უნდა ეძებო. ვინ იპოვეს მაშინ გენშტაბში? — 58-ე არმია. მაგრამ გეკითხებით, ვინ აიძულა ქართველები, მოეკურცხლათ?— 58-ე არმიამ.

— როგორ ხედავდა გენშტაბი იმხანად 58-ე არმიაში არსებულ ვითარებას, ცნობილია. 58-ე არმიის ხელმძღვანელს რა წარმოდგენა ჰქონდა 2008 წლის აგვიტოში გენშტაბის მხრიდან ჯარებისა და მათი საბრძოლო მოქმედებების მართვის სისტემაზე?

— რუსეთის შეიარაღებული ძალების მართვის იმჟამინდელ სისტემაზე პასუხი ნიკოლაი მაკაროვმა (არმიის გენერალი, 2008 წლის აგვისტოში — რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენშტაბის ხელმძღვანელი) უნდა აგოს. მე პასუხს 58-ე არმიაზე ვაგებდი. ამდენად, ვიმეორებ: ჩემს არმიაში მართვის სისტემა გამართული იყო, პირადი შემადგენლობა — გაწვრთნილი, ტექნიკა — მწყობრში. ამოცანა შეასრულეთ, ხოლო ის, რომ მაკაროვმა მაშინ მართვა სრულად დაკარგა, მისი პრობლემაა. დაე, მისი მმართველობა მისმა იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ შეაფასოს, რომელიც მან 2008 წლის აგვისტოში დარტყმის ქვეშ დააყენა.

— ვის გულისხმობთ?

— თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელ სერდიუკოვსა და მთავარსარდალს. სერდიუკოვი და მაკაროვი შემდგომში, აგვისტოს ბოლოს თავს იმართლებდნენ: აქაოდა, 58-ე არმიაში ახალი გენერლები მოვიდნენ და 5 დღეში ყველაფერი გააკეთეს, ძველები კი ვერაფერს გახდნენო. მაგრამ ვინ იყო იქ ახალი? მე ასეთები არ მინახავს. 58-ე არმიას ჯარების მართვა არ დაუკარგავს, აი მოსკოვის მართვა კი დაკარგული იყო. სწორედაც რომ „ძველმა გენერლებმა“ გააკეთეს ყველაფერი, მოიპოვეს გამარჯვება — ბრძოლის ველზე და არა გენშტაბის გალაკულ იატაკზე...

რატომ არ წავიდნენ თბილისზე?

— ომის დაწყებიდან 5 დღის შემდეგ ქართული არმია მშვიდობისთვის აიძულეს. რატომ შეჩერდა 58-ე არმია, რატომ აღარ განაგრძო გზა თბილისისკენ?

— იმიტომ, რომ ქვეყნისა და არმიის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ ასეთი გადაწყვეტილება არ მიიღო.

— ამის შესაძლებლობა არსებობდა?

— არსებობდა. 8-9 აგვისტოს ჯარებმა დამრტყმელი დაჯგუფება შექმნეს, 10-ში კი შეტევაზე გადავიდნენ და მოქმედებდნენ ზედმიწევნით დასახული ამოცანის, საკუთარი მიმართულების მიხედვით. თუმცა გენშტაბმა მაკაროვის ინიციატივით ეს შეაჩერა.

— რატომ?

— ნების არარსებობისა და პოლიტიკური შედეგების შიშის გამო. გარდა ამისა, ჩემი აზრით, აქ საქმე გვქონდა პირად გაუბედავობასთან...

— თბილისიდან რამდენ კილომეტრში იმყოფებოდნენ ჩვენი ჯარები, როდესაც საქართველოში შევიდნენ?

—22-28 კმ-ში, ახლა ზუსტად არ მახსოვს... იქ პოლკოვნიკ შტონდენკოს მოწინავე რაზმი იყო. მას შეეძლო, პირველი მისულიყო თბილისამდე. შეაჩერეს.

— იყო თუ არა 2008 წლის აგვისტოში სტრატეგიულ ბომბდამშენ „ტუ-22“-ის გამოყენების აუცილებლობა, რომელიც ქართველებმა ჩამოაგდეს?

— ეს რთული საკითხია. საჰაეროკოსმოსური ძალების სპეციალისტებს უნდა ჰკითხოთ. მე კი იმ მომენტში საჯარისო ავიაცია მჭირდებოდა.

— თქვენ ის გაგაჩნდათ?

— დიახ და თავის ამოცანას, შესაძლოა, არა სრული მოცულობით, მაგრამ ასრულებდა. საფრონტო ავიაციაც გვქონდა. სერგეი კობილაშის პოლკიდან ავიარეიდერები წინა ხაზზე მოქმედ თითოეულ ჩვენს ქვედანაყოფში მუშაობდნენ. ჩვენს დონეზე სისტემა გამართულად მოქმედებდა. ჯერ კიდევ ომამდე ალექსანდრე ბარანოვმა (ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი) ჩვენი მონაწილეობით წვრთნები ჩაატარა. 2008 წლის 13 მაისს ბარანოვს 60 წელი შეუსრულდა და მან სამხედრო სამსახური დატოვა. სწორედ მის ადგილზე დაინიშნა სერგეი მაკაროვი — საოლქო შტაბის ყოფილი ხელმძღვანელი, მაშინ მემკვიდრეობითობა იყო.

— 2008 წლის ომის შემდეგ დაიწყო საუბრები, რომ აუცილებელი იყო შეიარაღებული ძალების სასწრაფო რეფორმირება...

— ჩვენ რეფორმების კუთხით ყოველთვის გვქონდა პლუსები და მინუსები. თუ იმ ომს დავუბრუნდებით, ვადასტურებ, იმ პერიოდში ტექნიკა და შეიარაღება მართლაც იყო ფიზიკურად მოძველებული, უნდა აღდგენილიყო და შექმნილიყო ახალი ნიმუშები. ამას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ამდენად, დიახ, ქართველებთან ომმა რეფორმირების კუთხით სერიოზული ბიძგის როლი შეასრულა.

— ყველაზე მეტად რა დაამახსოვრდა გენერალ ხრულიოვს იმ დღეებიდან?

— გარკვეული დროის განმავლობაში ბრძოლის ველზე ვრჩებოდი. თან მახლდა ოფიცრებისა და სამხედრო კორესპონდენტების ჯგუფი. როდესაც დამჭრეს, იგორ უკლეინმა, რომელიც ალექსანდრე სლადკოვის ჯგუფში ხმის ოპერატორად მუშაობდა, გადახვევა გამიკეთა და კიდევ სადღაც ერთი საათის განმავლობაში არ შეგვიწყვეტია ცეცხლი — ქართველების ჯგუფს უნდა გავმკლავებოდით, რომელიც ყველა მხრიდან გვიტევდა... მაშინ ქართული ტანკი ჩავიგდეთ ხელში... თან მახლდა ინალ ვაზაევი, მეამბოხე — და ეს ტანკი ქართველების საწინააღმდეგოდ მოვაბრუნეთ. მხოლოდ მაშინ მივიღე საოლქო ჯარების ხელმძღვანელობისგან თანხმობა ევაკუაციაზე. სხვა დაჭრილებთან ერთად ჩემი ევაკუაციაც განხორციელდა. ჩემ ნაცვლად მართვა პოლკოვნიკმა გოსტევმა განაგრძო.

საბრძოლო ოფიცრები - თადარიგში!

— იმ ომის დასრულების შემდეგ განაცხადეთ, რომ არმიიდან საბრძოლო გამოცდილების მქონე ოფიცრების გაშვება დაიწყეს. მაშინ გენერლები ვლადიმირ ბოლდირევი და სერგეი მაკაროვი დასახელდნენ. რა ხდებოდა?

— თავის დროზე, ომის შემდეგ სტალინმა ჟუკოვზე თქვა: ასეთი ხალხი განსაკუთრებით გვჭირდება რუსეთისთვის რთულ პერიოდში, მაგრამ მშვიდობიან დროს ისინი ხელისშემშლელები არიანო... სად არიან ახლა გენერლები პირველი ჩეჩნური კამპანიიდან? ან თუნდაც მეორედან?... აქაც იგივე მოხდა. ყველა, ვინც ომში თავი გამოიჩინა, ხელისშემშლელი და არასაჭირო აღმოჩნდა მათთვის, ვინც გალაქულ პარკეტზე დააბიჯებს...

— ბევრი ოფიცერი წავიდა მაშინ თქვენი არმიიდან?

— რუსეთის ორი გმირი — უხვატოვი და ტიმერმანი — ბატალიონის მეთაური და მზვერავი საკუთარი ნებით წავიდნენ, დაინახეს რა შექმნილი ვითარება. უამრავი ოფიცერი უმიზეზოდ გაუშვეს.

— თქვენ რატომ წახვედით?

— ასაკის და, ასე ვთქვათ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

— ერთგვარ წყენას ვგრძნობ თქვენი მხრიდან...

— სამშობლოს არასოდეს ვუნაწყენდები. მან ყველაფერი მომცა: განათლება, ცოდნა, მდგომარეობა. უბრალოდ საწყენია, რომ ადამიანები, რომლებიც გარკვეულ მომენტში გარკვეულ პოსტებზე მოდიან, თავისი გადაწყვეტილებებით სახელმწიფოს ზიანს აყენებენ, მიუხედავად იმისა, რომ სამშობლომ მათ მაღალი თანამდებობები ანდო, ხოლო ის, რომ არ დამაჯილდოეს... ხომ მითხრეს — „მადლობა, ყოჩაღო!“? ...

— მეტისმეტად მკაცრად ხომ არ აფასებთ თქვენს ყოფილ ხელმძღვანელებს, მათ, ვინც საქართველოსთან ომის დროს გმართავდათ?

— როდესაც არმიის მართვის სადაოებთან მოდის ხალხი, რომელიც ჯარის ნგრევას იწყებს, ეს ნამდვილად დასანანია. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ შემდეგ მათ ამისთვის პასუხს არავინ სთხოვს. შესაძლებელია, იმჟამინდელი მინისტრი არ იყოს დიდად დამნაშავე შეიარაღებული ძალების განადგურებაში? დიახ, ის ფინანსისტია, ვაჭარი — არა სამხედრო. მას თავისი ამოცანა ჰქონდა. მთავარი პრობლემა გენშტაბის ხელმძღვანელ მაკაროვში მდგომარეობდა, რომელიც იზნიქებოდა, როგორც ნიკოლაი უგოდნიკი. როგორც სამხედრო პირი, იგი ვალდებული იყო, საკუთარი პოზიცია გაემყარებინა, ციფრებში გაეთვალა ყველაფერი. მაგრამ ის, რასაც ის ამტკიცებდა და უჩვენებდა პროფესიონალ სამხედროებს, მათი მხრიდან ლანძღვა-გინებას იწვევდა...

შემდგომში, სერდიუკოვისა და მაკაროვის შემდეგ, როდესაც რეფორმებში დაშვებული უამრავი შეცდომა გამოაშკარავდა, ყველასთვის გასაგები გახდა, რომ დაგვჭიდებოდა ბევრი დრო და ძალა, რათა აღმდგარიყო ბრძოლიუნარიანობაც და მორალური შემართებაც. სერდიუკოვისა და მაკაროვის დროს გამოსცეს ბრძანებები, რომელიც საუკეთესოებს დიდ პრემიებს ჰპირდებოდა. ფულზე ოფიცრები დასვეს. სადაა აქ მორალი, პატრიოტიზმი? ჩვენ რა, სამშობლოს ფულის გამო ვემსახურებით?

— როგორ მიგიღეს სოხუმში გენშტაბის ხელმძღვანელის როლში?

— არაჩვეულებრივად. იქ თავდაცვის მინისტრად მერაბ ქიშმარია ჰყავთ — პატივცემული, ავტორიტეტული ადამიანი რესპუბლიკაში. მან გულთბილად მიმიღო, დამისახა ამოცანები. ჩვენ მასთან ისე ვმუშაობთ, როგორც ერთი მთელი.

— როგორ აფასებთ აფხაზური არმიის ამჟამინდელ მდგომარეობას?

— ჯერჯერობით დამაკმაყოფილებლად.

— ბევრია სამუშაო?

— მთავარი ისაა, რომ საქმე არის. ცუდი მაშინ იქნება, როცა ის აღარ გვექნება. წელიწადნახევრის განმავლობაში რუსულ ბაზასთან გაერთიანებული დაჯგუფება ჩამოვაყალიბეთ. დოკუმენტები რატიფიცირებულია. ამჟამად მიმდინარეობს დაგეგმვა, ერთობლივი წვრთნები. ოფიცრებს თვალები უბრწყინავთ, ისე უნდათ მუშაობა.

— რა ხდება აფხაზეთთან საზღვრის იქითა მხარეს?

— წვრთნები, ამერიკელები, შტატების სამხედრო ტექნიკა... რიგითი მოვლენაა, ბიძია სემის პოლიტიკის გაგრძელება. ყველაფერი — საკუთარი საზღვრებიდან რაც შეიძლება შორს და მოსისხლე მტრების საზღვრებთან რაც შეიძლება, ახლოს. რუსეთი კი ერთ-ერთი მათგანია. ხდება დაძაბვა. ქართველებს ესმით, რომ ახლა აქ გაერთიანებული დაჯგუფებაა, რუსეთის შეიარაღებული ძალები და თუ ფეხს შემოდგამენ, სხვანაირ წინააღმდეგობას წააწყდებიან — არა ისეთს, როგორსაც 2008 წლის აგვისტოში. ახლა „მშვიდობისთვის იძულებას“ ბოლომდე მივიყვანთ...“

მათთვის, ვისაც გული ამერიკისკენ მიუწევს...

უცხო თვალისთვის ყველა იმ მიმზიდველ მხარესთან ერთად, რაც მსოფლიოს ყველა კუთხის ქვეყნებს ამა თუ იმ დოზით გააჩნიათ, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, არსებითად, ყველა გააჩნია, მაგრამ ბუნებრივი ზონების, ცალკეული შტატებისა და ეთნოსების ცხოვრების წესების, ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურის მოწყობის, გამართული სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გარდა, იქ ჩასვლის სურვილს ბევრს საკუთარ შესაძლებლობათა გამჟღავნების ძალიან სწრაფად გამოვლენისა და, შესაბამისად, დასახული მიზნების მიღწევის შესაძლებლობა უღვივებს, რაც ახალგაზრდებისთვის უაღრესად მიმზიდველი გარემოებაა. ამდენად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასვლის, იქ სწავლისა თუ მუშაობის უფლების მიღებას მთელ მსოფლიოში აუარება ხალხი ცდილობს, ამიტომაც ქვეყნის ხელისუფლება საემიგრაციო პოლიტიკის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას ცდილობს. ბოლო ხანებში კი, მით უმეტეს თეთრ სახლში ახალი ადმინისტრაციის დამკვიდრების შემდეგ, საემიგრაციო პოლიტიკა მკაცრდება, რაც საერთაშორისო ტერორიზმის შეტევების გაზრდილი საფრთხეების, არალეგალ ემიგრანტთა ნაკადის მომძლავრების პირობებში არცაა გასაკვირი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალურად ჩასვლის, ასევე ცხოვრებისა და მუშაობის მიღების ერთ-ერთ მექანიზმს ე.წ. „მწვანე ბარათის“ („გრინ ქარდის“) მიღება წარმოადგენს, რომლის მოპოვება ბოლო დრომდე გათამაშებით შეიძლებოდა. ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას, თეთრი სახლის ამჟამინდელი პატრონი დონალდ ტრამპი საემიგრაციო პოლიტიკის უაღრესად გამკაცრებას აანონსებდა და ახლა დანაპირებს ასრულებს კიდეც. მის ფარგლებში, როგორც ცნობილია, უაღრესად შეიზღუდა რამდენიმე მუსლიმანური ქვეყნის მოქალაქეთა ამერიკაში ჩასვლა, მექსიკასთან საზღვარზე ზღუდე შენდება, ახლა კი ხსენებული „გრინ ქარდების“ მფლობელთა ვინაობას არა „ბედი-ლატარია“ განაგებს, არამედ პირმა საკუთარი ცოდნის, ასაკისა და გარკვეულ შესაძლებლობათა (მათ შორის ფინანსურ) ხარჯზე უნდა დაიმსახუროს.

სენატორებმა **დევიდ პერდიუმ** და **ტომ კოტონმა** ქვეყნის კონგრესს განსახილველად კანონპროექტი წარუდგინეს, რომლის თანახმად **„მწვანე ბარათის“ მოპოვება იმ მიგრანტებს შეეძლებათ, ვისაც ინგლისური ენა ეცოდინება, ფინანსურად საკუთარი თავის უზრუნველყოფა შეეძლებათ და ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს გამოავლენენ**. კანონპროექტის ავტორთა აზრით, „მწვანე ბარათის“ გათამაშების გაუქმება, შეერთებულ შტატებში არაკვალიფიციური ხალხის მასების ნაკადს შეამცირებს, ადგილობრივი მუშახელის დასაქმების დონის, აგრეთვე კვალიფიციური მუშებისთვის ანაზღაურების გაზრდის შესაძლებლობას შექმნის.

უნდა ითქვას, რომ „გრინ ქარდი“ ამერიკის შეერთებულ შტატებში პირის ემიგრანტის სტატუსის მიღების მსურველი პირის დამადასტურებელი ბარათის არაოფიციალური სახელწოდებაა. **მის მფლობელს ქვეყანაში ლეგალურად მუდმივად ცხოვრებისა და მუშაობის, სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევით სარგებლობის, შეღავათიანი პირობებით საბანკო კრედიტისა და სოციალური დაზღვევის ბარათის ფლობის უფლება აქვს**.

ახალი კანონპროექტის კომენტირებისას, მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში მუდმივად საცხოვრებლად სურვილის მქონეთ ინგლისურ ენაში ტესტის ჩაბარების შემთხვევაში, ასევე ასაკისა და კიდევ რამდენიმე სხვა მონაცემის გათვალისწინებით, ქულათა გარკვეული ოდენობა მიენიჭება.

საბოლოო ანგარიშით კი, **ამიერიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მუდმივად საცხოვრებლად გადასვლის მსურველთა ცოდნასა და პოტენციალს ქულებით შეაფასებენ, რა მონაცემთა საფუძველზე საემიგრაციო სამსახური ყოველწლიურად „გრინ ქარდებს“ 140 ათას ყველაზე მაღალი შეფასებების მიმღებ პირებზე გასცემს.**

თუ როგორია ბოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად, მოქმედი საემიგრაციო პოლიტიკის ცვლილებების კონკრეტული მონახაზი, ამის შესახებ წარმოდგენის შექმნა დაინტერესებულ პირებს ქულათა მიღების კრიტერიუმის გაცნობისას შეუძლიათ.

სავსებით ბუნებრივია, რომ ნებისმიერი მიგრანტისთვის სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი სახელმწიფო, ამ შემთხვევაში ინგლისური ენის ცოდნაა. ამდენად, სათანადო ქულების ოდენობა ამერიკაში ცხოვრების უფლების მაძიებლისთვის ენის სტანდარტული ტესტის შედეგებით დადგინდება. **საამისოდ კი აუცილებელი იქნება ტესტის მაქსიმალურ ქულათა 60 პროცენტზე მეტის მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში მაძიებელ პირს ქულები არ დაეწერება; სწორი პასუხების 80 პროცენტის შემთხვევაში დაიწერება — 6 ქულა, 80-დან 90 პროცენტამდე შემთხვევაში — 10 ქულა, 90 პროცენტის შემთხვევაში — 11 ქულა, 100-პროცენტიანი შედეგი კი 12 ქულით შეფასდება.**

ახალი წესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი „გრინ ქარდის“ მოპოვების მსურველისთვისაა **ასაკი**. კერძოდ, **18-დან 21 წლამდე ასაკის პირი მიიღებს 6 ქულას; 22-დან 25 წლამდე — 8 ქულას; 26-დან 30 წლამდე — 10 ქულას; 31-დან 35 წლამდე — 8 ქულას; 36-დან 40 წლამდე — 6 ქულას; 41-დან 45 წლამდე — 4 ქულას; 46-დან 50 წლამდე — 2 ქულას**. 18 წლამდე არასრულწლოვანი და 50 წელს გადაცილებულ პირებს, ასაკობრივი მაჩვენებლით, არც ერთი ქულა არ დაერიცხებათ, თუმცა კი 50 წელს გადაცილებულთ აპლიკაციის წარდგენის უფლება მაინც აქვთ.

საემიგრაციოდ მაღალი ქულების დაგროვების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პოზიციაა პიროვნების **განათლების ცენზი, აკადემიური ხარისხი,** რაც შემდეგი შკალით შეფასდება:

ამერიკის სასკოლო ატესტატი ან მისი უცხოური ეკვივალენტი, „გრინ ქარდის“ მაძიებელს ერთ ქულას შესძენს; უცხოური ბაკალავრის ხარისხი — 5 ქულას; ამერიკაში მიღებული ბაკალავრის ხარისხი — 6 ქულას; უცხოური მაგისტრის დიპლომი STEM-ის სფეროში (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა) — 7 ქულას; ამერიკაში მოპოვებული მაგისტრის ხარისხი — 8 ქულას; უცხოეთში მიღებული დოქტორანტის ხარისხი — 10 ქულას; ამერიკაში მიღებული დოქტორანტისა — 13 ქულას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მუდმივი ცხოვრების მისაღებად, მომავალი მიგრანტისთვის, მეტი ქულების მიღების თვალსაზრისით, სამუშაოს რეალური პერსპექტივის არსებობისას, შეთავაზებული ხელფასისა და სამშობლოში მისი შრომის ანაზღაურების ოდენობის შეფარდებას ექნება მნიშვნელობა. კერძოდ, **სამშობლოში მიღებული ხელფასის 150 პროცენტის შეთავაზებისას მაძიებელს 5 ქულა მიენიჭება; მისი გაორმაგებისას — 8 ქულა, გასამმაგებისას — 13 ქულა**.

პერდიუ-კოტონის კანონპროექტით, გაუქმდება ამერიკაში უცხოელ ინვესტორთა წამახალისებელი, ე.წ. EB-5 პროგრამის ვიზები. ახალი წესის მიხედვით, **ქვეყანაში ახალი ბიზნესის წამოწყებად 1,35 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიციის განმხორციელებელი პირს 6 ქულა მიენიჭება, 1,8 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიციის დამბანდებელს კი — 12 ქულა**.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ აპლიკანტების მეუღლეებს თუ პარტნიორებსაც ქულები იმავე პრინციპით მიენიჭებათ.

აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ „გრინ ქარდის“ მიღება ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობის ავტომატურად მიღებას არ ნიშნავს, ეს ამ სტატუსის ერთგვარი წინა საფეხურია, რომელიც მფლობელს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არ ანიჭებს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ მოულოდნელი რაკურსით

მამელუქი...

— ის მამლუქი ვინ იყო, მტერს რომ ეკვეთა თავქუდმოგლეჯილი და ჩვენ, დამარცხება-დანაწევრება მოგვაპოვებინა? ის, ვინ იყო?

— მაჰმუდი, მაჰმუდი!

— მაჰმუდბეგ! გამოდი ახლა და თქვი შენი „ნაცური“ სიტყვა! მიწებს და გაზსადენს გვართმევენ ოკუპანტები და ქართლის სიღრმეში მოცოცავენ... ექსპერტებიც კი დაბნეულები არიან!

და ისმის ამ ალიაქოთში (სცენარში), ბრგე და ახოვანი ხმა:

— ბუნდოვნად მახსოვს საქართველო, მე არც კი ვიცი, ვინა ვარ, სადაური ვარ! მხოლოდ ის ვიცი, რომ ზოგიერთი ჩმორივით ნატურს მაყუთში არ ვცვლიდი, მიწებს კი პირიქით — ვიერთებდი!

ერთი შეხედვით, მართლაც არ გავდა ჩმორს (სცენარში) ეს ახოვანი... მაგრამ სამ ნაწილად გაგლეჯილი, საოკუპაციო კანონის ამარა კი დაგვტოვა და გაქუსლა... ამ კანონს, და კიდო, ნატოს ებარებოდეთო, - მოგვაძახა, და რუსული ბაზები კი დაგვიტოვა.

იძახეთ ახლა ოკუპანტი, ოკუპანტი! ძნელია, არ გამოდის ამ „კანონით“ და ამ ძახილით დაკარგულის დაბრუნება.

ხელისუფლება კი თურმე, ჩვენი უფლების (სრული განკარგვის) დელეგირებას ახდენს, „მოღალატურად“.

ამასობაში (სცენარში) წაკუზული ვყევართ იმ ოკუპანტს! ევრო-ამერიკელი „მამელუქებიც“ გატრუნულები არიან. ჰოდა, მაგ გაზსადენის გასწვრივ, ჩვენი ეს გაზმდენი ოკუპანტი, სულაც ახალ სამხედრო გზას გადაჭიმავს ერევნამდე, და თავის „ტრუბიანად“ დაისაკუთრებს ტრასას. აქაური კლიმატი მოსწონს თურმე, მადაც გაეხსნა და მოფერიანდა, პოლიტიკურად...

ახლა, თავად დაასკვენით, სად უნდა ვეძებოთ თემის მიზანმიმართული პოლიტიკური სპეკულაცია, ასევე — საშვილიშვილო ავანტიურა და ღალატი: „ქართული მარშის“ ლოზუნგებში, გაზსადენის „ტრუბაში“ თუ რუსეთ-საქართველოს ფრონტის ხაზზე, გორთან?!

იწამე და... ღმერთთან იქნები!

ღმერთის რწმენას რელიგიური რიტუალები, მაცნეები და მცნებები, საღმრთო წიგნები და ბიბლიური აღთქმები არ სჭირდება, ეს ყველაფერი ადამიანის შექმნილია და არა ღმერთის. არ დაუწერია ღმერთს კალმით ბიბლია. არც მასთან ყოფილა აუდენციაზე ვინმე, ეს წიგნი რომ წამოეღო. ასევე, ღმერთს თავის მიერ შექმნილ ადამიანთან შუამავლად სხვა ადამიანები და მატერიალური ატრიბუტები არ სჭირდება, მით უმეტეს მის მიერვე შექმნილების სახით. საამისოდ გამოსადეგი „ღვთიური“, „უწმინდესი“ ადამიანები არ არსებობენ, რადგან შეუძლებელია, ცოდვილი ადამიანი ღვთიური და უწმინდესი იყოს?

დაიჯერეთ ან ნუ დაიჯერებთ... იწამეთ, და ღმერთთან იქნებით.

არის მეორე, ებრაული ვარიანტიც: მოსე ავიდა ღმერთთან სალაპარაკოდ და წამოიღო წიგნი — ბიბლია! ასე დაიბადა კიდევ ერთი რელიგია. არადა, ღმერთი მანამდეც იყო, ვიდრე ბიბლიას გავეცნობოდით, მაგრამ ჩვენ ეს არ ვიცოდით. ახლაც მხოლოდ ის ვიცით, რაც ვიცით... და არ ვიცით, რაც შეუძლებელია, ვიცოდეთ.

არც გამოვრიცხავ, რომ ჩემზე მეტი, ღმერთთან „დაახლოებულებმა“ იცოდნენ.

აი, ასეთი ფიქრები ებადება ადამიანს, დღევანდელობის შემყურე...

ნუკრი მიხანაშვილი

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად



სტალინისთვის ცხადი იყო, რომ ტყუილად არ ჩაფრენილა ჩერჩილის შვილი ტიტოსთან. რახან მოლაპარაკება არ გამოდის, რახან ვერ გადმოიბირეს პარტიზანების მეთაური, სჯობია, მისი შტაბის ადგილი აცნობონ გერმანელებს. და მაშინ ესესელთა მე-500 ბატალიონი გააკეთებს ისე, რომ იუგოსლავიის პარტიზანული მოძრაობის სათავეში მოვა სხვა ადამიანი, რომელიც, შეიძლება, პროინგლისურად იქნება განწყობილი და არა პრორუსულად. თუ ასე არ იქნება, გამოჩნდება ახალი ლიდერი, რომელთანაც შეიძლება მოლაპარაკება“...

აი, ასეთები არიან მოკავშირეები. რომლებიც ევროპაში გადმოსხდებიან 1944 წლის ზაფხულში, როდესაც სავსებით ცხადი გახდება, რომ სსრ კავშირი მარტოც გაანადგურებს ჰიტლერს. დიპლომატიური ბატალიები ასეთ მოკავშირეებთან ერთი წუთითაც არ წყდებოდა. გამარჯვების წინ, 1945 წლის თებერვლის დასაწყისში, ყირიმში გაიმართა სამი მოკავშირე ქვეყნის — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა კონფერენცია. ისტორიაში იგი შევიდა იალტის კონფერენციის სახელით. ამ კონფერენციაზე მოკავშირეების ინტერესების შეჯახებები ხდებოდა უკვე ღიად. ძირითადი ბრძოლა გაჩაღდა ორ საკითხზე: გერმანიისა და პოლონეთის მომავალი მოწყობა. აქვე საბოლოოდ გადაწყდა საკითხი სსრ კავშირის ჩართვის შესახებ ომში იაპონიასთან. იალტაში სტალინი რბილად, მაგრამ მეტად თანმიმდევრულად ცდილობდა, მიეღო დასავლეთისგან თანხმობა პოლონეთის სსრ კავშირის გავლენის სფეროში ჩართვის შესახებ. რუსეთისთვის მეგობრული პოლონეთის საკითხი ისეთივე პრინციპულია, როგორც ინგლისელებისთვის გავლენის საკითხი საბერძნეთში. და რადგანაც მანამდე სტალინი დათანხმდა, დაეთმო ჩერჩილისთვის საბერძნეთის საკითხში, მას იმედი ჰქონდა, მიეღო ანგლოსაქსების გაგება პოლონეთის საკითხში.

და უკვე გვიან ჩერჩილი ისაუბრებს ისტორიაზე, თუ მისი ინიციატივით (და არა „სისხლიანი სტალინის“!) ორმა ხელმძღვანელმა როგორ გაიყვეს გავლენა ევროპაში. „სტალინს არასოდეს გაუტეხია ჩემთვის მოცემული სიტყვა“, — იტყვის მოგვიანებით სერ იუნსტონი. რა შესთავაზა ჩერჩილმა? მან აიღო ქაღალდის ფურცელი თავისი პირადი ნიშნით WSC და დაიწყო მასზე ბალკანეთის ქვეყნების დასახელებისა და ამ ქვეყნებში რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის გავლენის პროცენტების წერა. ეს მოხდა 1944 წლის 9 ოქტომბერს, როდესაც ცხადი გახდა, რომ მესამე რაიხი ვერ გაუძლებს წითელი არმიის დარტყმებს, ინგლისელებისა და ამერიკელების შემოტევა კი ვერ მოხერხდება ძალიან სწრაფად აღმოსავლეთ ევროპაში.

სტალინის პოლიტიკა იყო პრაგმატული და რაციონალური. ჩერჩილმა მას შესთავაზა უბრძოლველად მიეღო გავლენის წილი ევროპაში. და ის დათანხმდა, ხომ იყო შანსი გეოპოლიტიკური კომპრომისებისაკენ წლების წინ. და ამ შეთანხმებების ფარგლებში სტალინმა „დაუთმო“. ჩერჩილს საბერძნეთი. და ეს იმ დროს, როდესაც 1944 წლის ზაფხულში, ესე იგი „პროცენტული შეთანხმებების“ მიღწევამდე, ბერძნების კომუნისტური პარტიის პარტიზანებმა გაათავისუფლეს ათენი. ფაქტობრივად მთელი საბერძნეთი კომუნისტების ხელში იყო. მაგრამ სტალინის სიტყვა იდეოლოგიურ უპირატესობაზე უფრო ძლიერი იყო. მან „დაუთმო“ ბერძენი კომუნისტები, „დაუთმო“ საბერძნეთი. დიდმა ბრიტანეთმა შეიყვანა თავისი ჯარები და დაამყარა წესრიგი ძალით. 1944 წლის დეკემბრის ბოლოსთვის საბერძნეთში უკვე იმყოფებოდა 60 ათასამდე ინგლისელი ჯარისკაცი. ჩერჩილმა უბრძანა ამ ჯარების სარდალს გენერალ სკობის ემოქმედა რყევების გარეშე. და ინგლისელები უცერემონიოდ მოქმედებდნენ...

თუ რატომ მოიქცა ასე სტალინი, ვფიქრობ, განმარტება არაა საჭირო. როდესაც საქმე სამშობლოს კეთილდღეობას შეეხება, პოლიტიკოსებს პრინციპები არა აქვთ. ნუთუ საბერძნეთი ასეთი მნიშვნელობისა იყო ინგლისისთვის? დიახ, იმიტომ, რომ მასზე კონტროლი იძლევა საშუალებას კონტროლი გაუწიო ხმელთაშუა ზღვას, ანგლოსაქსების მარადიული ამოცანა კი იყოს, „ჩაკეტონ“ რუსული ფლოტი თურქეთის სრუტეებში და არ მისცენ მას საშუალება, გავიდეს მსოფლიო ოკეანის სივრცეებში. სტალინი დათანხმდა, რათა არ გამოეწვია ზედმეტი მღელვარება და გადასცა საბერძნეთი ლონდონს. ახლა მას ამისთვის სურდა, მიეღო სსრ კავშირისთვის მეგობრული პოლონეთი. მაგრამ ჩერჩილი „აწვებოდა“ როგორც შეეძლო. ნაცვალგების პრინციპი არ გამოდიოდა. მაშინ სტალინი ადგა მაგიდიდან, თუმცა მანამდე ყოველთვის(!) კონფერენციებზე ლაპარაკობდა დამჯდარი, და განმარტა სსრ კავშირის პოზიცია.

„ბატონმა ჩერჩილმა ახლახან თქვა, რომ საკითხი პოლონეთის შესახებ ბრიტანეთის მთავრობისთვის ღირსების საქმეა. ჩემთვის ეს გასაგებია. თუმცა, ჩემი მხრივ, უნდა ვთქვა, რომ რუსებისთვის საკითხი პოლონეთის შესახებ არა მხოლოდ ღირსების საქმეა, არამედ უშიშროების საკითხიც. ღირსების საკითხი იმიტომ, რომ რუსებს წარსულში ბევრი ცოდვა ჰქონდა პოლონეთის წინაშე. საბჭოთა მთავრობა ისწრაფვის, გამოისყიდოს ეს ცოდვები. უშიშროების საკითხი იმიტომ, რომ პოლონეთთან დაკავშირებულია საბჭოთა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პრობლემები. საქმე მარტო ის არაა, რომ პოლონეთი ჩვენი მოსაზღვრე ქვეყანაა. ამას, რასაკვირველია, აქვს მნიშვნელობა, მაგრამ პრობლემის არსი გაცილებით უფრო ღრმაა. ისტორიის მანძილზე პოლონეთი ყოველთვის იყო დერეფანი, რომლის გავლითაც მოდიოდა მტერი, რუსეთს რომ თავს ესხმოდა. საკმარისია, გავიხსენოთ თუნდაც უკანასკნელი ოცდაათი წელი ამ პერიოდში გერმანელებმა ორჯერ გამოიარეს პოლონეთი, რათა შეეტიათ ჩვენი ქვეყნისთვის. რატომ გადიან მტრები ასე იოლად დღემდე პოლონეთის გავლით? უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ პოლონეთის დერეფანი შეიძლება დაიხუროს მექანიკურად გარედან მხოლოდ რუსული ძალებით. ის შეიძლება საიმედოდ დაიკეტოს მხოლოდ შიგნიდან პოლონეთის საკუთარი ძალებით. ამისთვის საჭიროა, რომ პოლონეთი იყოს ძლიერი. აი, რატომ არის დაინტერესებული საბჭოთა კავშირი ძლიერი, თავისუფალი და დამოუკიდებელი პოლონეთის შექმნით. საკითხი პოლონეთის შესახებ — ესაა სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხი საბჭოთა სახელმწიფოსთვის.

რაც მეტს ლაპარაკობდა სტალინი, მით უფრო დაძაბული სიჩუმე იქმნებოდა მრგვალ მაგიდასთან, მით უფრო მჭვინვარე ხდებოდა რუზველტისა და ჩერჩილის სახეები“... (ო. რეუშევსკი. სტალინი და ჩერჩილი).

იალტის კონფერენცია 1945 წლის 11 თებერვალს დამთავრდა. გაყოფილია გავლენის ზონები და გათვალისწინებულია ყველა ნიუანსი? არა. ყველაფერი მხოლოდ იწყება. კონფერენციიდან ერთ დღე-ღამეზე ოდნავ მეტი ხნის შემდეგ — 1945 წლის 13 თებერვალს — მოკავშირეთა სტრატეგიული ავიაცია მიწასთან ასწორებს გერმანიის ქალაქ დრეზდენს. ქალაქს ბომბავენ სამი დღე — იყენებენ სანთებლებს, ნაპალმს. დარტყმებს ახორციელებენ რამდენიმე შეტევით: მოკავშირეები ჯერ აწყობენ კოლასულურ ხანძრებსა და დანგრევებს, რამდენიმე ხსნის შემდეგ ბომბებით თავს ესხმიან სამაშველო რგოლებსა და მეხანძრეებს. ამავე დროს ანგლოსაქსები კარგად ბომბავდნენ სლოვაკიის სამრეწველო ობიექტებს, რომლებსაც აქამდე — ომის ოთხი წლის განმავლობაში — პრაქტიკულად, არ ეხებოდნენ. ახლა წითელი არმიის იქ შესვლამდე უცბად გაახსენდათ ისინი. ომის მსხვერპლი? არა, პოლიტიკის მსხვერპლი. დრეზდენიც ასევე განეკუთვნებოდა ოკუპაციის საბჭოთა ზონას და მასში არ ყოფილა არანაირი სამხედრო მიზნები ან ქარხნები. ამ ქალაქის განადგურება — ესაა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების „საჩვენებელი გამოსვლები“. ისინი გვიჩვენებენ თავიანთი სტრატეგიული ავიაციის სიძლიერეს, ამით მოუწოდებდნენ, სტალინს ყოფილიყო უფრო დამთმობი. სტალინმა გადაკვრით ნათქვამი გაიგო და უპასუხა მას ასევე არაორაზროვნად.

ჩვენი არმია ბერლინს უახლოვდებოდა. რატომ გასცა სტალინმა ბრძანება მისი შტურმით აღების შესახებ. ვიტყვი ახლავე — სახელმწიფოთა მეთაურები არასოდეს იქცეოდნენ ისე, რომ ეს საქციელი ნაკარნახევი იყოს მხოლოდ ემოციებით. თუ გეუბნებიან, ჰიტლერი თავს დაესხა სსრ კავშირს იმიტომ, რომ მთელი მსოფლიო ჩაეგდო ხელშიო, სტალინმა კი გასცა ბრძანება, იერიშით აეღოთ ბერლინი იმიტომ, რომ უნდოდა მოეკლა კიდევ რამდენი ასეული ადამიანიო — ასეთი წიგნი გადადეთ გვერდზე. ეს სისულელეა. ემოციები არაა, არის სერიოზული პოლიტიკური მიზნები. რომ გავიგოთ ბერლინის იერიშით აღების აზრი, საჭიროა, ცოტა წინ გავიჭრათ...

1945 წლის აპრილი აღინიშნა დასავლეთის სპეციალური სამსახურების სერიოზული ჩავარდით და საბჭოთა დაზვერვის დიდი წარმატებით. შვეიცარიაში ჩვენ დავაპელენგეთ ინგლისელებთან და ამერიკელებთან გერმანელების სეპარატული მოლაპარაკებანი. „საუბრების“ თემა იყო — გერმანელების კაპიტულაცია იტალიაში, და შესაძლებელია, ფრონტის სხვა მონაკვეთებშიც რუსეთთან ბრძოლის გაგრძელების დროს. ინფორმაციის მიღების შესახებ სტალინმა პირდაპირ მიწერა ჩერჩილს, რომელმაც უმალვე დაიხია უკან და თქვა, რომ არანაირი მოლაპარაკებები არ ყოფილა, სსრ კავშირის მეთაურის ვარაუდები კი ცუდ დღეში აყენებენ ბრიტანეთის მთავრობას. მეტად დამახასიათებელია სტალინის პასუხი:

„ჩემი გზავნილები არის პიროვნული და მკაცრად საიდუმლო. ეს იძლევა საშუალებას, გამოვთქვათ ჩვენი აზრი ნათლად და გულღიად. ესაა საიდუმლო მიმოწერის პლუსი. მაგრამ თუ თქვენ ყოველ ჩემ გულღია განცხადებას მიიღებთ შეურაცხყოფად, ეს მეტად გაართულებს ასეთ მიმოწერას. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მე არ მქონია და არც მაქვს განზრახვა, შეურაცხყოფა მივაყენო ვინმეს“.

მაგრამ მთავარია, რომ ასეთმა „გულჩვილმა“ ანგლოსაქსებმა მაინც შეწყვიტეს გერმანელებთან მოლაპარაკებები. ამის შესახებ შესანიშნავად დაწერა იულიან სემიონოვმა თავის ბრწყინვალე რომანში „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“. არ დაგავიწყდეს, თუ როგორი „ერთგული“ მოკავშირეები გვყავდა ჩვენ. როგორ „კეთილშობილ“ ადამიანებთან ჰქონდა სტალინს საქმე. აი მათი „კეთილშობილების“ კიდევ ერთი მაგალითი. უკანასკნელი, ვიდრე ვისაუბრებდეთ, თუ რატომ გასცა იოსებ ბესარიონის ძემ ბრძანება ბერლინის იერიშით აღების შესახებ...

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა რუზველტმა უსაყვედურა წერილში სტალინს, რომ სტალინს არ ჰყავს კარგი ინფორმატორები და რომ ისინი ცდებიან, სსრ კავშირის მეთაურმა უპასუხა მკაფიოდ და გასაგებად. **„რაც შეეხება ჩემს ინფორმატორებს, გარწმუნებთ, რომ ისინი არიან ძალიან პატიოსანი და წესიერი ადამიანები, რომლებიც ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს აკურატულად და არა აქვთ განზრახვა შეურაცხყოფა მიაყენონ ვინმეს. ეს ადამიანები მრავალგზის არიან შემოწმებული ჩვენს მიერ“,** — მიწერა სტალინმა რუზველტს 1945 წლის 7 აპრილს. შემდეგ ის წერს იმის შესახებ, რომ გენერალმა მარშალმა (ეს ისაა, რომლის სახელსაც შემდგომ მიაკუთვნებენ ევროპის გადარჩენის გეგმას) რუსეთის გენერალურ შტაბს მიაწოდა ინფორმაცია, რომ გერმანელები განახორციელებენ დარტყმას 1945 წლის მარტში პომერანიიდან. სინამდვილეში კი გერმანიამ განახორციელა შეტევა სრულიად სხვა ადგილას — უნგრეთში ბალატონის ტბის მახლობლად. ვინც მოკავშირეებს მოუსმენს, ის დილამდე ვერ იცოცხლებს.

„მარშალმა ტოლბუხინმა შეძლო, თავიდან აეცილებინა კატასტროფა და შემდეგ გაეანადგურებინა გერმანელები სხვათა შორის იმიტომ, რომ ჩემმა ინფორმატორებმა გახსნეს, თუმცა ერთგვარი დაგვიანებით, გერმანელების მთავარი დარტყმის ეს გეგმა და დაუყოვნებლივ გააფრთხილეს ამის შესახებ მარშალი ტოლბუხინი, — წერს სტალინი რუზველტს. — ამრიგად, მე მქონდა შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავი საბჭოთა ინფორმატორების აკურატულობასა და გათვითცნობიერებაში...“

ფიქრობთ, რომ რაიმე შეიცვალა დღევანდელ დღემდე? შეხედეთ დასავლეთის ქვეყნების ლიდერებსა და მათს დიპლომატებს. საინტერესოა, როგორ აფასებდა ისტორიას მიშა გორბაჩოვი?

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114-115, 117, 121-125, 131, 133, 135-139, 140-150, 154, 156, 157-160

კარგ პურს კარგი ფქვილი სჭირდება

საქართველოში ამჟამად „ალოობაა“, ანუ ხორბლის და სხვა მარცვლეულის მოსავლის აღების პერიოდი. წლითიწლობით იზრდება მოსავლის რაოდენობა და, რაც მთავარია, ხარისხი. ქართველი ფერმერების თქმით, წლევანდელი მოსავალი მთლიანად მოხმარდება კვების მრეწველობას, რაც იმპორტის შემცირების შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას.

მარცვლოვან კულტურებში ხორბალს წამყვანი ადგილი უკავია. მისი ძირითადი ღირებულება განისაზღვრება ხორბლის მაღალი ხარისხით, ხორბალი შესაძლებელია გადამუშავებული იქნეს არა მხოლოდ პურად, მაკარონად და საკონდიტრო ნაწარმად, არამედ სპირტად, სახამებლად, დექსტსინად და სხვ. ხორბალი ძირითადად პურის დასამზადებელი კულტურაა და ის მასში თითქმის 70%-ია. ცნობილია მისი მრავალფეროვნება. ხორბალი პოლარული რაიონებიდან სამხრეთ ამერიკამდე და ამერიკის, ავსტრალიის კონტინენტებზე მოჰყავთ. ხორბლის მოწინავე მწარმოებლებია აშშ, რუსეთი, კანადა, ავსტრალია, არგენტინა, საფრანგეთი. ჩიკაგოში მსოფლიოში ხორბლის გასაყიდი ცნობილი ბირჟა მოქმედებს, რომელიც საზღვრავს ხორბლის ფასებს მსოფლიოში

საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბლის მოსაყვანი ფართობები ქვეყნების მიხედვით დაახლოებით ასე გამოიყურება:

აშშ — 21,8 მილიონი ჰექტარი; რუსეთი — 20, 5 მილიონი ჰექტარი; ინდოეთი — 19, 5 მილიონი ჰექტარი; თურქეთი — 8,9 მილიონი ჰექტარი; კანადა — 10,2 მილიონი ჰექტარი ; ავსტრალია — 9,3 მილიონი ჰექტარი; არგენტინა — 5,2 მილიონი ჰექტარი; საფრანგეთი — 3,9 მილიონი ჰექტარი; იტალია — 3,6 მილიონი ჰექტარი; უკრაინა — 8,2 მილიონი ჰექტარი; აზერბაიჯანი — 80 ათასი ჰექტარი; სომხეთი — 21 ათასი ჰექტარი; საქართველო— 25 ათასი ჰექტარი.

ქართული მსოფლაღქმით ხორბალი ფილოსოფიურ კატეგორიას მიეკუთვნება. თითოეულ მცენარეში, თითოეულ თავთავში, თითოეულ მარცვალში ასახულია ხალხის დაუღალავი შრომა, ოფლი და ცრემლები. ამიტომ ამ კულტურას ქართველი ექცევა საოცრად დელიკატურად, საქართველო იყო და არის ბუნებრივი გენეტიკური ლაბორატორია, სადაც შეიქმნა ხორბლის ენდემური უნიკალური ჯიშები. შემთხვევით კი არ ჰქვია საქართველოს კულტურული მცენარეების „ბიბლიოთეკა“ არქეოლოგიურმა კვლევებმა ეს არაერთხელ დაადასტურა.

ხორბალში ხარისხი განისაზღვრება ორი ასპექტით: მისი კვებითი ღირებულებით (შემადგენლობით) — ცილებისა და მასში შემავალი ნივთიერებებით, ხოლო ხორბლის ტექნოლოგიური ღირებულება მისი ვარგისიანობით, პურის დასამზადებლად ძირითადი განმსაზღვრელია ცილოვანი შემადგენლობა. ჩვენში გავრცელებული იყო რუსული სიტყვა „კლეიკოვინა“, ანუ წებოგვარა (წყლის შთანთქმის უნარი). ცნობილია სამი სახის რბილი ხორბალი: ძლიერი — ინტენსიური ტექნოლოგიისათვის ხანგრძლივი გაფუებით, საშუალო, ანუ „ფილერი“ სუსტი ხორბლის ხარისხში ერთ-ერთი დიდი ფაქტორია ხორბლის ბიოქიმიური გენეტიკა. ხორბალი აღჭურვილია სხვადასხვა მოდიფიკატორებით, რომლის ფენოტიპური გამოვლინება ხდება ამინდისა და გარემოს გავლენით. დღეს მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის 60% ხორბლის მომხმარებელია. საინტერესოა, რომ ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორიც ჩინეთია, სადაც ბრინჯია პირველადი მოხმარების პროდუქტი, დღემდე ცნობილია მსოფლიოში გავრცელებული ჯიშები, რომლებიც ჩვენს მიწა-წყალზე აღმოცენდა. ეს ენდემური ჯიშები საინტერესოა თავისი შესანიშნავი თვისებებით. ისინი როგორც ბარში, ასევე მთაში იზრდებოდნენ და პურის ცხობის შესანიშნავი თვისებები გააჩნდათ.

ამიტომ საქართველო იყო და არის ბუნებრივი გენეტიკური ლაბორატორია, სადაც შეიქმნა ხორბლის ენდემური უნიკალური სახეობები, აბორიგენული ჯიშები და ფორმები. მეცნიერები ასკვნიან რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ხორბლის სახეობათა წარმოქმნის პროცესს.

ინფორმაციისათვის, საქართველოში მოღვაწეობდნენ ცნობილი სელექციონერები — დეკაპრელევიჩი, მენაბდე და ნასყიდაშვილი. აღსანიშნავია, რომ სელექციური სამუშაოები საქართველოში მეცნიერებმა 1937 წელს დაიწყეს. დღეს, როდესაც ხშირად ახსენებენ რუსეთში უხვ მოსავალს, ერთ-ერთი ხორბლის გავრცელებული სახეობა, რომელმაც იქ შესანიშნავი შედეგი მოიპოვა, „კავკასიური“ ჯიშია, რომელიც მოერგო რუსულ ნიადაგს. ცნობილი სელექციონერი და მეცნიერი ვავილოვი ყოველთვის საქართველოში აღმოცენებული ენდემური ჯიშის შესახებ აყენებდა საკითხს. ამტკიცებდა კავკასიური ხორბლის უნიკალურობას, რომელშიც 435 სახეობას ითვლიდა. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ოქროს ხანის (XI —XII ს.) უდიდეს შემოქმედს, მართმადიდებელ მეფესა და წმინდანს დავით —IV-ს ხალხმა საომარი ტიტული კი არა, საერო ტიტული აღმაშენებელი უწოდა. სწორედ აღმშენებლობა გახლავთ ერის დაპურება, ქართველი კაცის სულისა და გულის გასაღები, ეკონომიკური სიძლიერე. ქართველი ხალხი ქმნიდა და თავის შრომის ნაყოფს მოიმკიდა კიდეც, შეიძლება, ამ სტრიქონის წამკითხავს დაებადოს კითხვა, დღეს რატომ არ ვაწარმოებთ ჩვენს სამყოფ ხორბალს?!

ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის საბჭოთა სისტემის 70 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებზე ჰქონდათ გაკეთებული აქცენტები (მევენახეობა, ჩაისა და ციტრუსის წარმოება, მესიმინდეობა, მეცხოველეობა) პურპროდუქტები ძირითადად რუსეთიდან შემოჰქონდათ. დღეს ქვეყანა კვლავ უბრუნდება ხორბლის წარმოებას. წლიდან წლამდე შედეგები პოზიტიურია, თუმცა შეცდომებსაც ვერ ავცდით. ქვეყანა წელიწადში დღეს მოიხმარს 800 000 ტონა ხორბალს; ყველაზე დიდი მოსავალი ბოლო წლებში მივიღეთ შარშან — 220 ათასი ტონა, საიდანაც სასურსათოდ ვარგისია მხოლოდ 18 %. იმის მაგივრად, რომ შესარევად გამოვიყენოთ მეზობელი ქვეყნის რესურსი, მაგალითად, 2008 წელს საერთოდ გადაკეტეს ფქვილისა და ხორბლის შემოტანა, გარდა ერთეული ფირმებისა, თითქოს ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობისათვის, თუმცა ადგილზე გადამუშავების ხარჯები იმდენად მაღალი იყო, რომ ფქვილის ფასებმა მაღლა-მაღლა დაიწყო სვლა, შაქრის ფასს გაასწრო, ქართული წისქვილების უმეტესობა კი გაიყიდა და გაკოტრდა, რომ აღარაფერი ვთქვათ პურის დამამზადებელ საწარმოებზე, რომლებიც ფქვილის მაღალი ფასების გამო ვალებში დაიხრჩო, გარდა ერთეულებისა. საკვირველი იყო რეგლამენტებისა და საბაჟო ბარიერების შემოღება ხორბალზე. დაინტერესდით რა ჯდება ხორბლის ტრანსპორტირება ბათუმიდან თბილისში და მეტი კომენტარი აღარ დაგვჭირდება. რატომ არის საქართველოში ფქვილის მაღალი და ხშირად მერყევი ფასები? სამაგალითოდ მოგიყვანთ მეზობელ ქვეყანას თურქეთს, რომელიც მიუხედავად პოლიტიკური მოვლენებისა, რუსეთიდან ყიდულობს ყველაზე მეტ ხორბალს და ყიდის მესამე ქვეყნებში. ჩვენ კი...

ადგილობრივი მეწარმეებს შორის (ფქვილი და პური) დაძაბულობას ვქმნით, წინა პლანზე პურის წარმოებაა, რადგანაც საბოლოო პროდუქტით მსჯელობს ხალხი, ფქვილის მწარმოებელი კი არ ჩანს, უნდა აღინიშნოს ის სიკეთე, რაც ჯერ კიდევ კომუნისტურ საქართველოში განხორციელდა პურპროდუქტების დარგში (სულაც არ მივტირი ძველ დროს). ელევატორების (ხორბლის საცავების) მშენებლობის სახით მათი სიმძლავრე ითვალისწინებდა აზერბაიჯანისა და სომხეთის ხორბლის მარაგების დასაწყობებას და გადამუშავებას ფოთში, ბათუმში, გორში, კაჭრეთში, მარნეულში, თბილისში, წნორში. მაგალითისათვის, იტალია წარმოადგენს ევროპის ერთგვარ ბეღელს. იტალიის, პორტებში მოწყობილ ელევატორებში შეაქვთ ხორბალი მთელი მსოფლიოდან — ამერიკა, არგენტინა, რუსეთი, ყაზახეთი, ინდოეთი, ავსტრალია, იქ ამუშავებენ ამ ხორბალს და მთელ ევროპას აწვდიან იტალიურ ფქვილსა და ფქვილოვან ნაწარმს, ხოლო იტალიური სპაგეტი იაპონიაში და ავსტრალიაში იგზავნება. ხომ შეიძლებოდა საქართველო ამ რეგიონში გამხდარიყო ლიდერი ხორბლის გადამუშავებით? გემებით ფოთში შესაძლებელია ნებისმიერი ხორბალი შემოიტანო, ჩვენ კი გაუგებარი საბაჟო ბარიერები და რეგლამენტები შემოვიღეთ, რამაც ამ პროდუქტის ფასი მხოლოდ გაზარდა. ევროპაში წისქვილები იყენებენ პროგრესულ მეთოდებს. თქვენ წარმოიდგინეთ, იქ ფქვილს უკვე პურის ასორტიმენტებით კოდირებულად ამა თუ იმ ასორტიმენტისათვის ამზადებენ, ჩვენში ეს ვერც კი წარმოუდგენიათ, და თუ წისქვილმა დიდი რაოდენობით არ გადაამუშავა ხორბალი — წარმოება არარენტაბელურად მიაჩნიათ, უფრო მეტი, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენში გადამუშავების ხარჯები საკმაოდ მაღალია (წყალი, ელექტროენერგია, სატრანსპორტო ხარჯები) ფქვილის ფასები ძალიან ხშირად მერყეობს და ფასი საკმაოდ მაღალია. თუმცა ამას არავინ კითხულობს. ფქვილის მწარმოებლებს ერთხელ არ დაუყენებიათ საკითხი არც ენერგომატარებლებზე, არც ტრანსპორტირებაზე, მხოლოდ ფქვილის ფასით არეგულირებენ თავიანთ პრობლემებს, ამ დროს წინა პლანზე ყოველთვის პურის ფასია. ჩვენს წისქვილებში მოიშალა პროგრესული ტარის გარეშე ფქვილის გადაზიდვა. სამწუხაროდ, ვერც ფქვილის სინესტით იტრაბახებენ. მინდა, იცოდეთ, უმეტესი წისქვილები აზერბაიჯანული ფირმა „კარმენის“ გახდა. სპეციალისტები დამეთანხმებიან, ფქვილის სინესტე ტომრებში 12,5% არ უნდა აღემატებოდეს, მითუმეტეს ზაფხულში. ჩვენთან კი წამლად რომ ეძებოთ, 14,5% ნაკლებს ვერ მონახავთ, ფქვილი მშრალი ნივთიერებაა და 15%-ზევით ის შედის რეაქციაში, ასეთ წკიპზე მუშაობა ნიშნავს ხარისხის ვარდნას და ეს უნდა გაითავისონ, როდესაც ფქვილის დამამზადებელს პრეტენზიები გააჩნიათ. მინდა, ამ წერილით კარგად გაგათვითცნობიეროთ იმაში, რომ კარგ პურს კარგი ნედლეული სჭირდება და ის მარტო ხაბაზის შრომაზე არ არის დამოკიდებული.

მალხაზ დოლიძე,
საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

კახეთს რთველზე სუბსიდიები აღარ ექნება

„სუბსიდია დროებითი ინსტრუმენტი იყო და ყველა მეღვინე აცნობიერებდა, რომ ადრე თუ გვიან ის დასრულდებოდა“

რთველის დაწყებამდე 2-3 კვირაა დარჩენილი. წელს კახეთს სუბსიდია აღარ ერგება, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ღვინის კომპანიები წინასწარ იჭერენ თადარიგს, რომ მოსავლის დაბინავებასთან დაკავშირებით პრობლემები არ შეიქმნას. ჯერჯერობით თანადაფინანსების შეწყვეტის გამო პრეტენზია არ გამოუთქვამს არც გლეხებს და არც მეწარმეებს. ყველას იმედი აქვს, წელს ყურძენზე მისაღები ფასი იქნება.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა მეწარმეებთან წინასართვლო შეხვედრა გამართა და განაცხადა, რომ რთველის ორგანიზებულად ჩასატარებლად როგორც ხელისუფლება, ისე კერძო სექტორი, სრულ მზადყოფნაშია.

„ყურძნის მოსავალი საკმაოდ დიდია, ამავე დროს გაზრდილია ღვინის ექსპორტი. რთველთან დაკავშირებული საკითხები ორგანიზებულია, მთავრობამ რთველის ხელშემწყობი ღონისძიებები დაამტკიცა. კომპანიებთან ვისაუბრეთ იმ დეტალებზე და პროცედურებზე, რომლებიც მთავრობის განკარგულებით არის გათვალისწინებული. ვფიქრობთ, რომ მაქსიმალური კოორდინაციითა და ორგანიზებულობით შევძლებთ რთველის სეზონის წარმატებით და ეფექტურად ჩატარებას“, — აღნიშნა ლევან დავითაშვილმა. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ გაზრდილი ექსპორტის ხარჯზე ყურძენზე მასობრივი სუბსიდირების საჭიროება აღარ არსებობს.

„მოსავალს წელს საკმაოდ დიდს ველოდებით, ჩვენი პროგნოზით, ინდუსტრიულად გადამუშავდება დაახლოებით 140-150 ათასი ტონა ყურძენი“, — აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

როგორც ცნობილია, წელს ხარისხიან ყურძენზე სუბსიდირება არ გაიცემა. ღვინის ის კომპანიები კი, რომლებიც საბრენდე სპირტისა და კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის წარმოების მიზნით რქაწითელსა და კახური მწვანე ჯიშის 1 კგ ყურძენს არანაკლებ 70 თეთრად შეისყიდიან, სახელმწიფოსგან კომპენსაციის სახით 35 თეთრს მიიღებენ.

ამავე დროს, დაცული ადგილწარმოშობის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სუბსიდია შენარჩუნდება რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ალექსანდროულსა და მუჯურეთულზე — 1კგ-ზე გაიცემა 2 ლარი. გიორგი სამანიშვილის განცხადებით, ღვინის მზარდი ექსპორტი რთვლის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთი წინაპირობაა.

კომპანია „თბილღვინოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი **გიორგი მარგველაშვილი** სახელმწიფოს მხრიდან რთვლის სუბსიდირების პოლიტიკის შეცვლას დადებითად აფასებს. ის ამბობს, რომ სუბსიდია დროებითი ინსტრუმენტი იყო და ყველა მეღვინე აცნობიერებდა, რომ ადრე თუ გვიან ის დასრულდებოდა.

„სუბსიდირების დასრულების მოტივი ქართული ღვინის ექსპორტისა და მოთხოვნის ზრდაზეა დამოკიდებული. სახელმწიფოს გათვლებით, წელს იქნება საკმარისი მოთხოვნა ყურძენზე ისე, რომ სუბსიდიის სახით ჩარევა საჭირო აღარ იქნება. გლეხი მიიღებს სამართლიან ფასს, ყურძნის მყიდველიც გადაიხდის სამართლიან ფასს. გადაწყვეტილება ჩვენი აზრით დადებითი და დროული. მოთხოვნა სხვადასხვა სახის ყურძნის ჯიშებზე სხვადასხვაა, ეს იქნება პირველი წელი სუბსიდიის მოხსნის და უნდა დავაკვირდეთ შედეგებს“, — ამბობს გიორგი მარგველაშვილი.

სს „ელმავალმშენებელი“

2017 წლის 16 აგვისტოდან აცხადებს ინტერესთა გამოხატვას მის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შესახებ

ობიექტი:
საკადასტრო კოდი: 01.12.01.003.169
ქ.თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი №84

ნომენკლატურა:
დემონტაჟი

სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ) 20 000
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ) 18 000
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ) 2 000
- შენობა-ნაგებობის ფართი (კვ.მ) 2 300
- შენობა ნაგებობის სიმაღლე (მ) 8,7

შენობა-ნაგებობა წარმოადგენს კარკასული ტიპის განაშენიანებას, გააჩნია პანელური ტიპის ბრტყელი გადახურვა. აშენებულია 1980-1982 წლებში. 90-იანი წლების დასაწყისამდე ფუნქციონირებდა როგორც საწარმოო ტიპის საამქრო. შენობას შენარჩუნებული აქვს სამშენებლო კონსტრუქციები (კედლის პანელები და გადახურვის პანელები), რომლებიც ნაწილობრივ დაზიანებულია.

წინადადებების მიღების ბოლო ვადა: 23 აგვისტოს 12:00 საათი.

წინადადებების მიღების ადგილი: დ.გურამიშვილის გამზირი №84, ადმინისტრაციული შენობის ოთახი №216.

კონკურსში გამარჯვების კრიტერიუმია: ყველაზე მაღალი ფასის შემოთავაზება, პრეტენდენტის დახასიათება და სამუშაო გამოცდილება, სამუშაოების შესრულება უმოკლეს ვადაში.

კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია:
- საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის დემონტაჟისათვის საჭირო ტექნიკისა და მუშა ხელის დაქირავება;
- გვერდითა შენობების დაუზიანებლად, განახორციელოს შენობა-ნაგებობის დემონტაჟი 0.00 ნიშნულის ზემოთ;
- დემონტაჟის დროს არ დააზიანოს შენობა-ნაგებობაში მდებარე დაზგა-დანადგარები;
- შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შემდეგ უზრუნველყოს საზოგადოებისათვის საჭირო დაზგა-დანადგარების (დანართი №1) დემონტაჟი და გადატანა შიდა ტერიტორიის მითითებულ ადგილზე;
- შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შემდეგ დარჩენილი დაზგა-დანადგარები (დანართი №2) შეისყიდოს ჯართის საბაზრო ღირებულებით;
- დემონტაჟის დასრულების შემდეგ უზრუნველყოს არსებული ნარჩენების გატანა და ტერიტორიის დასუფთავება;
- შენობა-ნაგებობის დემონტაჟისას დაიკისროს უსაფრთხოების წესების და პირობების სრული დაცვა და პასუხისმგებლობა;
- ყველა სხვა კონკრეტული პირობები გაიწერება პრეტენდენტთან გასაფორმებელ ორმხრივ ხელშეკრულებაში.

შემსყიდველის უფლება-მოვალეობები:
- შემსყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ინტერესთა გამოხატვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება დამოუკიდებელი ან/და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე შემსყიდველის ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე.

დანართი №1

საზოგადოებაში დასატოვებელი და მითითებულ ადგილზე გადასატანი დანადგარების ჩამონათვალი

#	დანადგარის დასახელება	მოდელი	ინვენტარის ნომერი	სავარაუდო წონა, კგ
1	ჰიდრავლიური წნეხი	ПД476	795	3730
2	ჰიდრავლიური წნეხი	PVF-250/2	2283	7000
3	ჰიდრავლიური წნეხი	PVF-250/2	2284	7000
4	ჰიდრავლიური წნეხი	PVF-250/2	2256	7000
5	ჰიდრავლიური წნეხი	K1293202	2366	4100
6	ჰიდრავლიური წნეხი	D2436A	2895	13400
7	ჰიდრავლიური წნეხი	DO436A	1046	18650
8	ჰიდრავლიური წნეხი	D2434	2236	13400

დანართი №2

ჯართის სახით სარეალიზაციო დანადგარების ჩამონათვალი

#	დანადგარის დასახელება	მოდელი	ინვენტარის ნომერი	სავარაუდო წონა, კგ
1	ჰიდრავლიური წნეხი	П6328	2446	3100
2	ჰიდრავლიური წნეხი	ДБ2436	1049	13400
3	ჰიდრავლიური წნეხი	П474А	777	3000
4	ჰიდრავლიური წნეხი	П6324	2447	1587
5	ჰიდრავლიური წნეხი	П6324	2449	1587
6	მექანიკური წნეხი	К8130	1054	1000
7	ელევატორის ტიპის თარო	76417	2157	2600
8	მანიპულატორი	ШМБ-150	2938	350
9	კიდულა ამწე	1ტ.	2849	1720
10	კიდულა ამწე	1,5ტ.	2438	1800
11	ღუმელი	ე-1618		850

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ტელ. 5 99 79 11 32, 5 77 003 707

◎ ტექნიკა, რომელიც გვახრჩობს

საღ გავაჩეროთ ავტომობილი?

თბილისში გადაუჭრელ პრობლემად რჩება ავტომობილის გასაჩერებელი ადგილების სიმცირე, რაც მრავალ პრობლემას უქმნის როგორც მძღოლებს, ასევე ქვეითად მოსიარულეებს. ძნელია იმის არშემჩნევა, რომ ტროტუარების დიდი ნაწილი ავტომანქანის სადგომად იქცა. ადგილობრივი არჩევნების მოახლოებასთან ერთად სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ავტომობილის გასაჩერებელი ადგილების მართვის სისტემა. რას ფიქრობენ ამ საკითხზე დარგის სპეციალისტები და მერობის კანდიდატები?

იუზა ვასაძე გამოცდილი მძღოლია, ავტომობილის მართვის 44-წლიანი სტაჟით, თუმცა, მისი თქმით, თბილისში ავტომობილების გაჩერების პრობლემა იმდენად მწვავედ დგას, რომ ხშირ შემთხვევაში ავტომობილის ფარეხიდან გამოყვანას აზრი არცა აქვს:

„კაცი პატრონს ვერ ცნობს, ისეთი სიტუაციაა! ფულს ვიხდით, პარკირების ფულს, მაგრამ ადგილი მაინც არსად არ არის. „სტაიანშიკებს“ ყველა შემთხვევაში მიაქვთ ფული. თუ არ მისცემ, გაგიჭრიან საბურავს და თავისუფალი ხარ.... მანქანით სიარულს ვერიდები. მირჩევნია, ფეხით ვიარო ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ვინმემ უნდა მიხედოს ამ საქმეს.

ვისიც გინდა, იმისი იყოს, ოღონდ წესრიგი დაამყარონ, ჩვენ ხომ თანხას ვიხდით ამაში! ძველები უნდა წავიდნენ და ახლები მოვიდნენ. პარკირებას უნდა ადგილი. ან ააშენონ, ან გააკეთონ, რამე იღონონ. ძალიან რთული მდგომარეობაა ქალაქში!..“

იუზა ვასაძე

სწორედ საქმის გაკეთებას, ანუ ავტომობილების გასაჩერებელი ადგილების მართვის სისტემის მოწესრიგებას, ჰპირდებიან მერობის კანდიდატები თბილისელებს. **კახა კალაძე** მიიჩნევს, რომ სისტემას ადგილობრივი ხელისუფლება უნდა მართავდეს. „ევროპული საქართველოს“ მერობის კანდიდატი **ელენე ხოშტარია** კი ავტოსადგომების საერთო ფართობის გაზრდის აუცილებლობაზე ლაპარაკობს. მისი თქმით, ქალაქში, სადაც 400 ათასამდე ავტომობილი მოძრაობს, არსებული 38 ათასი ადგილი საკმარისი არ არის. შესაბამისად, უნდა გაიზარდოს სადგომების მოცულობა მიწისქვეშა სივრცეების ხარჯზე და შეიქმნას დროზე მიბმული დგომის სისტემა. ავტომობილის გასაჩერებელი ადგილების მართვის სისტემის რადიკალურად შეცვლას აპირებენ მერობის კანდიდატები – **ალექსანდრე ელისაშვილი** და **ზაალ უდუმაშვილი,** რომლებიც მმართველ კომპანია „სითი პარკთან“ აპირებენ კონტრაქტის გაწყვეტას. „შენების მოძრაობის“ მერობის კანდიდატი **თენგიზ შერგილაშვილი** კი ფიქრობს, რომ უნდა შეიცვალოს მთლიანად სატრანსპორტო მოძრაობისა და ავტოსადგომების მართვის სქემა.

საინტერესოა, რას ფიქრობენ პრობლემის შესახებ სპეციალისტები. **გელა კვაშილავა,** თავმჯდომარე ფონდისა „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“, ამბობს, რომ პრობლემას ქმნის ავტომობილების გასაჩერებელი ადგილების ინფრასტრუქტურისა და მართვის ერთიანი გეგმის არარსებობა:

„სადაც, კერძო იქნება თუ სახელმწიფო ოპერატორი, შეასრულებენ იმ ამოცანებს, რაც დღეს ქალაქის წინაშე დგას. კერძოდ, ხელს შეუწყობენ საპარკინგე ინფრასტრუქტურის შექმნას, ქალაქის ზონირებას. პარკინგი არის ისეთივე პროდუქტი, როგორიც სხვა პროდუქტები. ბუნებრივია, იქ, სადაც მეტი მოთხოვნილებაა პარკინგზე, უნდა იყოს საათობრივი რეგულაციები. მეორე, ბუნებრივია, შემოსავლები უნდა ხმარდებოდეს ქალაქში ტრანსპორტის განვითარებას, მობილობის განვითარებას. ესე იგი, ჩვენ ვკარგავთ როგორც სივრცეებს, ასევე თანხებს, რესურსებს, რომელიც თავისუფლად შეიძლება მოხმარდეს ქალაქში არსებული ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას“.

ავტომობილების გასაჩერებელი ადგილების ინფრასტრუქტურისა და მართვის სისტემის კრიზისზე ლაპარაკობს ორგანიზაცია „ჰაბჯორჯიას“ ხელმძღვანელი **ვასილ ურუშაძე,** რომლის თქმითაც, თბილისში 15 ავტომობილზე მხოლოდ ერთი გასაჩერებელი ადგილი მოდის:

„არ უნდა ვიფიქროთ, რომ დღეს არსებული პრობლემა შეიძლება, მოაგვაროს მხოლოდ კერძო სექტორმა. ბალანსი დარღვეულია უკიდურესად: ავტომობილების რაოდენობა ბევრად აღემატება პარკირების ადგილების რაოდენობას. კერძო კომპანიამ შეიძლება უზრუნველყოს სერვისი, მაგრამ ვერ უზრუნველყოს ამ ბალანსის აღდგენა. შესაბამისად, აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლების, ანუ მერიის, ჩართულობა. შესაძლებელია კერძო სექტორთან თანამშრომლობით, ერთიანი ინვესტიციების განხორციელებით ახალი ადგილები შეიქმნას“.

პრობლემის გადაჭრაზე ფიქრობს თბილისის მერიაც, რომელმაც მრავალდონიანი პარკინგების ასაშენებლად დედაქალაქის მასშტაბით 10 ადგილი შეარჩია (რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია, მეტრო „მარჯანიშვილის“, ფილარმონიის, პუშკინის მოედნის მიმდებარე ტერიტორიები, „ისნის“ მეტროსთან, დინამოს სტადიონთან, ქალაქ თბილისის მერიასთან, გულუას მოედანთან, „ვარკეთილის“ მეტროსა და გეგეშიძის ბაღთან ახლოს მდებარე ადგილები), თუმცთა ტენდერის გამოცხადება დროში გაჭიანურდა. შესაბამისად, იუზა ვასაძე და სხვა თბილისელები თავიანთ თავზე გრძნობენ სადგომების სიმცირით გამოწვეულ დისკომფორტს, რასთან შეგუებასაც არ აპირებენ.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

◎ გზა დაულოცეს

ზედიზედ მეოთხედ!

ფუნიკულიორზე გაიმართა საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გაცილების ღონისძიება, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი პირველ მოადგილესთან აკაკი ლოდიასთან და მოადგილეებთან – შალვა გოგოლაძესთან და რევაზ ჯაველიძესთან ერთად დაესწრო. შეხვედრაზე გამოიფინა ევროპის ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასი, რომელიც საქართველოში 12 აგვისტოს ფიბას პროექტ „ტროფი ტურის“ ფარგლებში ჩამოიტანეს.

საქართველოს ნაკრების მოთამაშეებს და მწვრთნელთა შტაბს ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლა უსურვეს მთავრობის სხვა წევრებმაც – შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა, ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ვიქტორ დოლიძემ, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ ყაველაშვილმა და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები და ჟურნალისტები. ილიას ზუროსის გუნდი 22 აგვისტოს საბერძნეთში გაემგზავრება, სადაც წარმომადგენლობით აკროპოლისის თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას და შემდეგ პირდაპირ ევრობასკეტზე გაემგზავრება ისრაელში. ეს იქნება ზედიზედ მე-4 ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრები ითამაშებს.

ჩვენი ნაკრები ჯგუფური ეტაპის პირველ შეხვედრას 31 აგვისტოს ლიტვის ნაკრების წინააღმდეგ მოაწყობს, სულ კი ჯგუფურ ეტაპზე 5 მატჩის ჩატარება მოუწევს. ზუროსის გაწვრთნილი გუნდი ლიტვის გარდა ისრაელს, უკრაინას, იტალიას და გერმანიას დაუპირისპირდება. ჯგუფიდან 4 საუკეთესო გუნდი გადის. ფინალური ეტაპი სტამბოლში 9-17 სექტემბერს გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

გერმანიის ოგბეგამ შაფათავა დაანინაურა

ჰეჩინგენში (გერმანია) დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა 60.000-იანი ტურნირი. წყვილთა შეჯიბრებაში შესანიშნავად ითამაშა თბილისელმა სოფიო შაფათავამ. იტალიელ კამილა როსატელოსთან ერთად მან ასპარეზობის სტარტზე მე-4 ნიმრად განთესილი ტერეზა მდრეზა (ხორვატეთი) და შანტალ სკამლოვა (სერბეთი) ჩამოიშორა გზიდან სამ სეტში – 6:2, 3:6, 11:9, მერე უკრაინელ ალიონა ფომინასა და პოლონელ მაგდალენა ფრეჩს აჯობა – 7:5, 6:3. ნახევარფინალში ისინი მეტოქეობას უწევდნენ რუმინელებს – ნიკოლეტა დასკალუსა და კრისტინა დინუს და აქაც გაიმარჯვეს – 6:3, 4:6, 14:12. გადამწყვეტ პაექრობაში ქართულ-იტალიურმა ტანდემმა 58 წუთში დაამარცხა გერმანელები – რომი კოელცერი და ლენა რუეფერი – 6:2, 6:4 და მთავარი პრიზი მოიპოვა. გერმანულმა წარმატებამ ჩვენებური წყვილთა მსოფლიო კლასიფიკაციაში 65 ადგილით წინ წასწია და ახლა 231-ე საფეხურზეა. ამავე რეიტინგში მარიამ ბოლქვაძეც დაწინაურდა, ოღონდ 26 ადგილით, ეკატერინე გორგოძემ კი ერთეულებში 24 საფეხურით აინაცვლა. განახლებულ რეიტინგში ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია:



ქალები

ერთეულები. 243 (249). სოფიო შაფათავა (215), 420 (444). ეკატერინე გორგოძე (84), 463 (460). მარიამ ბოლქვაძე (68), 839 (842). სოფიო ქვაცაბაია 916), 875 (873). ოქსანა კალაშნიკოვა (14), 1081 (1082). თათია მიქაძე.

წყვილები. 77 (77). ოქსანა კალაშნიკოვა (1025), 231 (296). სოფიო შაფათავა (294), 243 (243). ეკატერინე გორგოძე (166), 518 (544). მარიამ ბოლქვაძე (82), 693 (691). თათია მიქაძე (41), 987 (995). სალომე დევაძე (16), 987 (996). სოფიო ქვაცაბაია (16). 1276 (1273). ლანა კენჭიაშვილი (3).

ვაჟები

ერთეულები. 65 (63). ნიკოლოზ ბასილაშვილი (739). 848 (835). გიორგი ცივაძე (19), 882 (854). ალექსანდრე მეტრეველი (16), 1302 (1221). ალექსანდრე ბაქში (4), 1776 (1779). ირაკლი მეტრეველი (1), 1948 (1948). ვაჟა შუბლაძე (1).

გიორგი ცივაძე ამჟამად ბელარუსის დედაქალაქშია და 15.000-იან ვაჟთა ტურნირში ჩაება. წყვილებში ყაზახ დენის ევსეევთან ერთად პირველ წრეში მან დინიარ დულდაევისა (ყირგიზეთი) და ჯოშუა პარისის (დიდი ბრიტანეთი) ტანდემი დაამარცხა – 6:2, 6:4. და მეოთხედფინალში მეორე ნომრად განთესილ ბელარუსებთან – სერგეი ბეტოვსა და დმიტრი ჟირმონტთან გაარკვევს ურთიერთობას, ქალები (შაფათავა, გორგოძე და ბოლქვაძე) კი მომდევნო კვირას ართვინის 60.000-იან ტურნირში ითამაშებენ.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭადრაკი

მხოლოდ ნახევარ-ნახევარი ქულა დათმეს

საბადელში (ესპანეთი) დაიწყო ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი, სადაც უკვე სამი ტური გათამაშდა. 50 წელს გადაცილებულ ვაჟებში ამ ასაკის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა ზურაბ სტურუამ ორი შეხვედრა მოიგო, ერთი ყაიმით დაასრულა და 2.5 ქულით პირველ-მეათე ადგილებს ინაწილებს.

65 წელს გადაცილებულებში ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და თამაზ გიორგაძე ლიდერთა შორის არიან. ორივე ქართველმა დიდოსტატმა აქაც სამიდან 2.5-2.5 ქულას მოუყარა თავი და 20 ქვეყნის 66 მონაწილეს შორის ისინი მესამე-მეცამეტე ადგილებს იყოფენ. უდანაკარგოდ ნილს-გუსტავ რენმანი (შვედეთი) და ჯანეზ ბარლე (სლოვენია) ლიდერობენ.

გივი გაგუა

◎ პრემიერლიგა

ინგლისში სატრანსფერო ვადას ცვლიან

ინგლისის პრემიერლიგის კლუბების მფლობელები სატრანსფერო დროის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად 7 სექტემბერს შეიკრიბებიან. ბრიტანული გამოცემების ცნობით, მომავალი წლიდან ინგლისში ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დახურვისა და ახალწვეულების დარეგისტრირების ვადა ჩემპიონატის განახლებამდე დასრულდება.

ეს პროექტი უკვე შემუშავებულია და, როგორც ირკვევა, პრემიერლიგის კლუბების უმრავლესობა, მათ შორის წამყვანი კლუბები, მის დამტკიცებას მხარს უჭერენ. არიან მოწინააღმდეგეებიც, თუმცა, ისინი უმცირესობაში იმყოფებიან.

ამ ზაფხულში ფეხბურთელთა სარეგისტრაციო პერიოდი, როგორც აქამდე, 31 აგვისტოს დასრულდება, ანუ პრემიერლიგის ახალი სეზონის დაწყებიდან სამი კვირის შემდეგ, ეს სიტუაცია კი მწვრთნელთა უმრავლესობას არ მოწონს. სწორედ რეფორმების საკითხზე იმსჯელეს პრემიერლიგაში დასაქმებულმა სპეციალისტებმა გასულ კვირაში გამართულ შეხვედრაზე.

ახალი წესის დამტკიცების შემთხვევაში ინგლისური კლუბები ახალწვეულთა დარეგისტრირებას სეზონის დაწყების შემდეგ ვეღარ შეძლებენ, თუმცა, სხვა ქვეყნებში ფეხბურთელთა გაყიდვის უფლება დარჩებათ.

გიორგი ზოთაძე

◎ ხელბურთი

შანსი ვერ გამოიყენეს

თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გრძელდება 19-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი. შეჯიბრების მონაწილენი გუშინ ისვენებდნენ, ერთი დღით უწინ კი ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრები გაიმართა. საქართველოს ნაკრებმა მედლებისთვის ბრძოლის გაგრძელების შესანიშნავი შანსი გაუშვა ხელიდან – ჩვენები ჩილეს ნაკრებთან ორი ბურთის სხვაობით წაგების შემთხვევაშიც გადიოდნენ პლეი ოფში, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

საქართველო – ჩილე 24:29 (10:18)

მასპინძლებმა მატჩის პირველი წუთებიდანვე უყურადღებოდ ითამაშეს დაცვაში, რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვეს შეტევებისას და პირველი ტაიმი 10:18 წააგეს. შესვენების შემდეგ ქართველებმა ანგარიშში სხვაობა ოთხ ბურთამდე დაიყვანეს, მაგრამ თამაშში გარდატეხის შეტანა მაინც ვერ მოახერხეს და საბოლოოდ 24:29 გამარცხდნენ. ჩვენები მხოლოდ პრეზიდენტის თასისთვის განაგრძობენ პაექრობას.

ბოლო ტურის შეხვედრები ასე დასრულდა:

A ჯგუფი. საფრანგეთი – დანია 35:26, ნორვეგია – ეგვიპტე 22:30, შვედეთი – ბაჰრეინი 28:20.

საფრანგეთი – 10 (176:124), ეგვიპტე – 7 (150:135), დანია – 5 (147:144), შვედეთი – 4 (122:124), ნორვეგია – 2 (129:143), ბაჰრეინი – 2 (123:177) ქულა.

B ჯგუფი. იაპონია-ალჟირი 29:21, გერმანია-ისლანდია 27:28, საქართველო-ჩილე 24:29

ისლანდია – 10 (160:125), გერმანია – 8 (178:112), იაპონია – 6 (136:130), ჩილე – 2 (132:158), საქართველო – 2 (124:166), ალჟირი – 2 (124:163) ქულა.

C ჯგუფი. პოლონეთი-კორეა 28:30, ბრაზილია-პორტუგალია 27:26, ხორვატეთი-არგენტინა 31:19.

კორეა – 8 (174:152), ხორვატეთი – 7 (165:134), პორტუგალია – 7 (143:131), პოლონეთი – 4 (133:142), ბრაზილია – 4 (131:147), არგენტინა – 0 (113:153) ქულა.

D ჯგუფი. რუსეთი-მექსიკა 32:14, სერბეთი-ტუნისი 27:37, სლოვენია-ესპანეთი 22:30.

ესპანეთი – 10 (151:112), ტუნისი – 8 (158:129), სლოვენია – 6 (142:122), რუსეთი – 4 (132:127), სერბეთი – 2 (131:143), მექსიკა – 0 (88:163) ქულა.

დღეს პლეი-ოფის შეხვედრები გაიმართება.

ლაშა დიდია

◎ ინტერნეტიდან

ლაურას ნეიმართან უნდა

ახლა გაგანია XXI საუკუნეა ჩამომდგარი და, ცხადია, რაინდობისა და თეთრი ცხენების ჭიხვინის ჟამი წარსულშია დარჩენილი. არც ბრაზილიელი ნეიმარი ჰგავს XV საუკუნის რაინდს, მაგრამ ეს ყველაფერი „მნიშვნელო ამბავია, როდესაც ტურფა ასულს გული სულ სხვანაირად უძგერს...

მშვენიერმა პარიზელმა მოდელმა ლაურა ტანგუიმ ერთი ყური მოჰკრა თუ არა, ბრაზილიელი სუპერმეგოლე ნეიმარი ჩვენსა მოჰყავთო, წამსვე სიხარულით კამარა შეჰკრა და განაცხადა, რომ უწინამც სული შეეხუთება და მუხლი მოეკვეთება, ეს ოკენისგალმელი რაინდი მასზე თუ არ გაიბოტიტნებს.

ჩვენ არ ვიცით, ვნებიანი ლაურა ნეიმარში გადახდილმა 222 მილიონმა ევრომ უფრო მოხიბლა თუ ბრაზილიელი ფეხბურთელის შავტუხა სახემ,მაგრამ ფაქტია, რომ დამდგარა და იძახის, – მე ქალი არ ვიყო, ნეიმარი პარიზის მრავლისმნახველ მიწაზე სიყვარულის ქარცეცხლში თუ არ გავხვიო და ბოსტანში გაგორებულ კომბოსტოს თუ არ დავამსგავსოო. ვნახოთ, ბატონო, ვნახოთ...

როსტომ რაჭველიშვილი

გამოსათხოვარი

რომან გვენცაძის ხსოვნა

გავრცელებულმა ცნობამ იმის თაობაზე, რომ გარდაიცვალა **რომან გვენცაძე**, ერთნაირად გული დასწყვიტა როგორც ბევრ რიგით მოქალაქეს, ასევე მის ახლო ნაცნობებს, ყოფილ თანამშრომლებს და რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, იმ ადამიანებსაც კი, რომელთაც რომანთან, როგორც პოლიციის ჩინოსანთან, ჰქონდათ შეხება. ამას ცხადყოფს სოციალური ქსელები, ამ დღეებში ადამიანების ერთმანეთისთვის გაზიარებული მისამძიმრებები და გამოხმაურებები.

მე და რომანს სხვადასხვა დროში სხვადასხვა ფორმის სამსახურებრივ მდგომარეობაში მოგვიწია ურთიერთობა და ამიტომაც კარგად ვიცი, რა პრინციპებით, რა ღირებულებებით, რა წესებით ცხოვრობდა იგი. რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, მე ვიტყვი, რომ იგი იდეალისტი იყო. ვიცი, გაიკვირვებს ბევრი — პოლიციელი და იდეალისტი. სწორედაც რომ ასე იყო. თავის საქმეზე ზომაზე მეტად შეყვარებული, რომლისთვისაც როგორც წესი ყველაფერზე მაღლა თავისი საქმე იდგა. სისხლის სამართლის სამძებროს სტრუქტურები, რომელთაც რომანი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა, იმ დროისთვის ნამდვილად არ იყო განებივრებული არც შესაბამისი ტექნიკური თუ კრიმინალისტური შესაძლებლობებით, აღარაფერს ვამბობ ფინანსურ მხარეებზე და, როგორც იტყვიან, დანაშაულთან ბრძოლა მაშინდელ მუშაკებს თითქმის ცარიელი ხელებით უწევდათ. ამ ბრძოლას კი ნამდვილად სჭირდებოდა ისეთი იდეალისტები, როგორიც რომანი იყო. არაფერს ვიტყვი იმ პერიოდისთვის მისი პირადი ინიციატივით გახსნილ არაერთ და ორ საკმაოდ მძიმე და გახმაურებულ დანაშაულზე, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ საზოგადოებას სჯეროდა მისი, ისიც თავის მხრივ თავს არ იშურებდა ამისთვის. ყველამ იცოდა, მაგალითად, რომ მისთვის სრულიად ჩვეულებრივი და აუცილებელი ამბავიც კი იყო, რომ ყველა სადღესასწაულო დღეებში პირადად ყოფილიყო სამსახურში, ბევრ შემთხვევაში ყველა სხვა რიგითი თანამშრომლის ნაცვლადაც კი, რადგან დედაქალაქში სიმშვიდე მისთვის ყველაზე მაღალი ღირებულება იყო. ამიტომაც უყვარდათ, პატივს სცემდნენ, ცდილობდნენ, მიებაძათ მისთვის.

რომანი სრულიად ახალგაზრდა მოვიდა შინაგან საქმეთა ორგანოებში, პროფესიონალი მშენებელი სულ მალე გამორჩეული ოპერატიული მუშაკი გახდა და სახელოვნად აიარა ამ სისტემის იერარქიული კიბის ყველა საფეხური, რიგითი ოპერატიული მუშაკიდან მინისტრობამდე. ვინც იცნობს იმ პერიოდისთვის იმ სისტემისთვის დამახასიათებელ „დაკანონებულ“ წესებს, ადვილი გასაგები უნდა იყოს, თუ რაოდენ ძნელი იქნებოდა ეს გზა, რადგან ამ სისტემისთვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი, აქ თანამშრომლებს სადღესასწაულო კარიდან ღებულობდნენ, მაგრამ შემდგომ, როგორც წესი, მათ უმრავლესობას უკანა კარიდან აცილებდნენ. ვინც ოდნავ მაინც იცნობს გასული საუკუნის 30-40-იანი წლების შინაგან საქმეთა ორგანოების ისტორიას, მათთვის ძნელი არ იქნება არაერთი ასეთი მაგალითის გახსენება. ეს წესი კი ამ სისტემაში ისე მყარად იყო გამჯდარი, რომ იგი მილიციის ისტორიას თითქმის ბოლომდე გაჰყვა. რომანი კი იმ იშვიათ მუშაკთა რიგში უნდა მოვიხსენიოთ, რომელსაც ასევე მოუწია წინა კარის შელება (არაერთხელ), მაგრამ არასოდეს უკანა კარიდან არ გამოსულა, იცოდა მისი ფასი ყველა დროში ყველამ, თანაც, კარგად.

საზოგადოების უმრავლესობა რომანს თავისი პროფესიული საქმიანობიდან იმ ფაქტით იცნობს, როდესაც ერთ-ერთი ოპერაციის დროს დაჭრილი დამნაშავე ჯერ საავადმყოფოში მიიყვანა, მერე საკუთარი სისხლი გადაუსხა, სიცოცხლე შეუნარჩუნა და მართლმსაჯულებას იგი ასე წარუდგინა, თუმცა მრავალმა, ალბათ, არ იცის მისი ბიოგრაფიის ის ნაწილი, როდესაც 9 აპრილს რუსული ჯარის ნაწილებისაგან დარბეულ მომიტინგეებს, ქართულმა პოლიციამ კორდონი როგორ გაუხსნა, ნამდვილ სასაკლაოს გამოაცალა და არაერთი ქართველი პატრიოტის სიცოცხლე იხსნა. ამის შემოქმედიც რომანი იყო, რომელსაც სამსახურებრივად შეიძლება სრულიად სხვა რამ ევალებოდა, მაგრამ იგი ხომ ყოველთვის წინ ჯერ ქართულ საქმეს აყენებდა და მერე, ყველაფერ დანარჩენს. ბევრია მის ბიოგრაფიაში ასეთი და მსგავსი მაგალითები.

ხვალ მის ცხედარს ნარიყალას წმინდა მიწას მიაბარებენ. საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მიღებული ეს გადაწყვეტილება ვფიქრობ, შემთხვევითი არ არის, საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ მას სხვა მის თანამოაზრეებთან ერთად ნარიყალას აღდგენა-რესტავრაციაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი, არამედ იქნებ საქმე იმაშიც არის, რომ ქართულმა ეკლესიამ ღირსეულად დააფასა იმ ადამიანის წვლილი, რომელმაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი პოლიციურ სტრუქტურებში იმუშავა და უანგაროდ შესწირა თავისი თავი ქვეყნისა და თავისი ქალაქის მოქალაქეთა სიმშვიდეს.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ღირს დაფიქრებად, რომან გვენცაძის სახელის უკვდავყოფას აქ არ დაესვას წერტილი და ახლა სათანადო სტრუქტურებმა იზრუნონ იმაზე, თუ როგორ იქცეს ეს ადგილი შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკთა მომავალი თაობებისათვის სიმბოლოდ იმისა, თუ როგორ ფასდება ის შრომა, რომელიც არც თუ იშვიათადაა დაკავშირებული თავდადებასა და სიცოცხლისათვის საშიშ რისკთანაც კი.

ურიგო არ იქნებოდა ისიც, თუკი პოლიციის აკადემიაში შემოიღებდნენ რომან გვენცაძის სახელობის სტიპენდიას, რაც, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს მომავალში პოლიციურ სტრუქტურებში მომუშავე ახალგაზრდა თაობების რწმენის განმტკიცების საქმეს.

ყოველივე ეს იმ რწმენით არის ნათქვამი, რომ რომან გვენცაძის მიერ განვლილი გზა ნამდვილად არის მაგალითი იმისა, რაზეც შეიძლება გაზარდო ახალი თაობა, თორემ თავად მისთვის ნამდვილად ალალი და უსაყვედურო იქნება ნარიყალას წმინდა მიწა.

დავით სალარიძე



დიდი კაცი

არმისული მლეთასთან, მთიდან პატარა მდინარე მოედინება, მაგრამ ზოგჯერ ისე ადიდდება, რომ მისი ნგრევის მასშტაბებს პარამეტრები არ გააჩნია. ხიფათს მხოლოდ ერთი მომცრო პერანგისნავიანი ეკლესია გადაურჩება ხოლმე და ასე ურყევად დგას იგი საუკუნეების მანძილზე. ამ პატარა ეკლესიაშია საფიქრებელი, რომ იყო ღმერთის სახლი, რადგან იგი უკვდავი და მარადიულია.

რომან გვენცაძე თავისი გამძლეობით, პატიოსნებით, ცნებით: „გიყვარდეს მტერი შენი“ ჰგავს იმ პატარა ეკლესიას, რომელიც არაგვის ხეობაში დგას.

გამბედაობა, თავგანწირვა და რაინდობა ერთიანად არის შერწყმული თავმდაბლობასთან, შემწყნარებლობასთან, ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლის მოფრთხილებასთან. მიუხედავად იმისა, რომ იგი რიგითი პოლიციელიდან უმაღლესი რანგის — მინისტრის თანამდებობამდე ავიდა, ალბათ, ამ სავარძელში არ ჩამჯდარა ადამიანი, რომელიც ასე დაუნდობლად ებრძოდა დამნაშავეთა სამყაროს, მაგრამ მათი ერთი წარმომადგენელიც კი არ დარჩება გულგრილი რომან გვენცაძის გარდაცვალების გამო.

რომან გვენცაძემ გაუძლო საქართველოში დატრიალებულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ დამანგრეველ ქარბორბალას, სამოქალაქო ომში ის ერთნაირად მისაღები იყო ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მებრძოლი ქართველებისათვის, მაგრამ ბრმად გასროლილმა ტყვიებმა არ დაინდეს პატრიოტი და ორივე ფეხებით მოცელეს. რომანი ამ უდიდეს ტრავმას არ გაუბოროტებია და თუ ის მტერთან და დამნაშავესთან ვეფხვი იყო, მეგობართან და პატარასთან უაღრესად მომფერებელი და ცრემლიანი გახლდათ.

წავიდა ჩვენგან ლეგენდად ქცეული კაცი იმ წმინდა საუფლოში, რომელიც მან ათწლეულების მანძილზე ძერწა და აჩუქურთმა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს რაინდის სული თავისივე ხელით აშენებულ ღმერთის სასახლეში.

გენერალი დემურ მიქაძე,
გრიშა ონიანი

მშვიდობით!..

მაია და გურამ ახალაიები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა 90-იანი წლების შს სამინისტროს ერთ-ერთი გამორჩეული ხელმძღვანელი, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის უდიდესი პროფესიონალი, საქართველოს დამოუკიდებლობის ურთულესი პირველი დღეების მოწმე და აქტიური მონაწილე, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული, უკეთილშობილესი პიროვნება

რომან ლევანის ძე გვენცაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს, უახლოეს ნათესავებსა და მეგობრებს.

საქართველოს პარლამენტის მე-5-6-8-9 მოწვევის, ფრაქცია „მრეწველების“ წევრები ღრმა მწუხარებით და დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა 1999-2004 წლების მოწვევის პარლამენტის, ფრაქცია „მრეწველების“ წევრი

რომან გვენცაძე

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

ბათუმში მატარებელი ქალს დაეჯახა

ბათუმში, თამარის დასახლებასთან ქალს მატარებელი დაეჯახა. „აჭარის ტელევიზიის“ ინფორმაციით, დაშავებული თავის მძიმე ტრავმით საავადმყოფოშია გადაყვანილი.

არსებული ინფორმაციით, დაახლოებით 40 წლის ქალი ლიანდაგზე გადადიოდა, რა დროსაც სატვირთო მატარებელი დაეჯახა.

რუსთავში „ნარკობარიგა“ დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1985 წელს დაბადებული ე.ი. რუსთავში დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და დროებითი საცხოვრებლის ჩხრეკისას, 294 შეკვრად დაფასოებული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება — ე.წ. „ბიო“ ამოიღეს. გამოძიება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

კიდევ ერთი ფონიჭალელი ნარკორეალიზატორი

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოს მე-9 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული ე.ჯ., ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, სოფელ ფონიჭალაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა. პოლიციამ ე.ჯ.-ს მიერ მოქალაქისთვის მიყიდული, 4 შეკვრად დაფასოებული ჰეროინი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ვულოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი და თამაზ გოგინაშვილი

უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების წევრს, საკავშირო სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „თბილისის ელექტროამძრავის“ ყოფილ დირექტორს მშენებლობაში, სამაგალითო ქართველს და შესანიშნავ პიროვნებას, ბატონ

ვალერი ვარდოსანიძეს.

16.08-2017 წ.

პარალელები

დონ კიხოტიდან დონალდ ტრამპამდე

მახსოვს, დონ კიხოტს ხშირ ტყეში, ხესთან
ნატანჯი კაცის ჩაესმა კვნესა
და რქუა: „მადლი ღმერთს, რომ რაც ვარ, ეს ვარ!“
მერე მიმართა ხუან ალდუდოს:
„ყველა რაინდი ღმერთმა ადიდოს,
მაგრამ შენ ძარღვი გაგიწყდა შუბლზე
და დღეს ამიტომ აგაგვე შუბზე,
რათა ანდრესის ტანჯვა მოგკითხო!
ეს მე მსურს, მე მსურს რაინდ დონ კიხოტს!“
...ჯოჯოხეთიდან ეშმა იცინის:
„ნახეთ იწამა კუდის ქიცინი
და მიმდევარმა რაინდულ გზისა,
რადგან გველს თავი არ გაუსრისა,
როგორც კი ბიჭი მარტო დატოვა,
მყისვე გააძრო ტყავი ბატონმა!“
(საქართველოს ხვედრს ვადრი რატომღაც!)...
ჩემი სამშობლო ვინც არ დაინდო,
ალდუდოსავით ყალბად რაინდობს,
ამიტომ ვნატრობ, ცრემლს არ ვყლაპავდე
დონ კიხოტიდან დონალდ ტრამპამდე!

ვინ აფინანსებს მიხოსა?

შანტაჟით, თანაც სულ ღრენით
ათ წელს დაგვადგა უღელი
მფორთხავმა ჰალსტუხჭამიამ,
მერე „მაიდანს“ უგვერდა,
რადგან ვერაფერს უგებდა
და „ძმობილს“ მახეს უგებდა,
როგორც თბილისში ჟვანიას.
დღეს პოლონეთშიც, უნგრეთშიც
კვლავ სკამს დაეძებს წუმპეში,
თან გველი უზის უგეში
ბილწსა და შარახვეტიას.
არადა, სხვა არც იყოს რა,
ბევრი ფული რომ იყნოსა,
ვინ უფინანსებს მიხოსა
ვარიაგულად ხეტიალს?

ალექსანდრე შენგელია,
(გალაკტიონისეული ნუსხით თბილისელ-ქუთაისელი)

ლარსის საავტომობილო გზაზე მოძრაობა აღდგა

ამალი-დევდორაკის ხეობაში მყოფმა გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა ვითარება ადგილზე შეისწავლეს და მცხეთა-სტეფანწმინდა ლარსის საავტომობილო გზის 134-კმ - 135კმ მონაკვეთზე, ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აღდგა.

სიტუაციის დეტალურ შესწავლამდე უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით ავტომობილების გადაადგილება 22 სთ-დან დილის 6 სთ-მდე კვლავ შეიზღუდება.

ყველაფერი ყველაფერზე

ლონდონის სიმბოლო დაზიანდება

21 აგვისტომდე ჯერ კიდევ აქვთ საშუალება, ტურისტებს მოინახულონ ლონდონის მთავარი სიმბოლო, ვესტმინსტერის სასახლის კოშკები, ცნობილი, როგორც „ბიგ ბენი“. ქალაქის მთავარ საათებს 4 წლით დაკეტავენ და რეაბილიტაციას ჩაუტარებენ.

ლონდონის მცხოვრებლებმა უკვე შეამჩნიეს, რომ 96-მეტრიანი „ელისაბედის კოშკი“, რომელთანაც ყველაზე მეტ ფოტოს იღებენ დამთვალიერებლები, უკვე დაკეტილია. რეაბილიტაციის დროს ჩაქუჩებს, რომლებიც 157 წლის განმავლობაში თითქმის შეუჩერებლად რეკდნენ, საათებს დააშორებენ. რემონტის პერიოდში „ბიგ-ბენის“ ხმის მოსმენა, ისეთ განსაკუთრებულ დღეებში იქნება შესაძლებელი, როგორიც ახალი წელია.

ამერიკულ-იტალიური ავტოკონცერნს ჩინეთში იყიდიან

ავტოკონცერნი „ფიატი-კრაისლერი“ დიდი ალბათობით, მალე ჩინელი ბიზნესმენების მფლობელობაში გადავა. ამერიკულ-იტალიური ბრენდის წარმომადგენლები უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებებს ჩინურ კომპანიებთან. არჩევანს კი იმაზე შეაჩერებენ, ვინც უფრო დიდ თანხას გადაიხდის.

უნდა აღინიშნოს, რომ „ფიატ-კრაისლერი“ ყიდის მარტო „ფიატს, კრაისლერს, ჯიპისა და დოჯის“ ხაზს. რაც შეეხება ისეთ განსაკუთრებულ ბრენდებს, როგორებიცაა „ფერარი, მაზერატი და ალფა-რომეო“, მათი გაყიდვა არც კი განიხილება. ჩინეთის ხელისუფლება აქტიურად უწყობს ხელს საკუთარ ქვეყანაში მანქანათმშენებლობის განვითარებას. ჩინელები უცხოური ავტოკომპანიების შესაძენად 1,5 ტრილიონი დოლარის დახარჯვას აპირებენ. „ფიატი-კრაისლერის“ კონცერნის ყიდვა მათ დასავლეთის სავაჭრო ბაზრის კარს ფართოდ გაუღებს.

16 წლის მოზარდის ჰოლიკოკი ამბიციები!

აშშ შტატ კანზასში მცხოვრები 16 წლის ჯეკ ბერგუსონი 2018 წლის შტატის გუბერნატორის არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს.

მოზარდმა წინასაარჩევნო კამპანია უკვე წამოიწყო. მას აქვს საკუთარი შტაბი, პოლიტიკური პროგრამა და 2000 დოლარი, რომლებიც მხარდამჭერებმა ჩაურიცხეს. ახალგაზრდა პირველ რიგში კორუფციასთან ბრძოლას და საშუალო ხელფასების გაზრდას აპირებს. კანზასის შტატში გუბერნატორის არჩევნებში მონაწილეობა ბიჭს ნამდვილად შეუძლია, რადგან ასაკობრივი ზღვარი კანონით არ განისაზღვრება. ბერგუსონი სკოლის საფეხბურთო ნაკრებში თამაშობს, მისი პირველი დამხმარე 17 წლის საუკეთესო მეგობარია, რომელიც ჯეკის გამარჯვების შემთხვევაში ვიცე-გუბერნატორი გახდება.

„რატომ დაველოდო სრულწლოვანებას, როცა შემიძლია სამშობლოს დღესვე გამოვადგე“, – აცხადებს თავდაჯერებული ახალგაზრდა.

ჩემპიონების ოჯახი

მსოფლიოში ცნობილი გერმანელი ავტომრბოლელის მიხეილ შუმახერის 20 წლის ქალიშვილმა შვეიცარიაში ჩატარებულ მსოფლიოს საცხენოსნო შეჯიბრში რეინინგში ოქროს მედალი მოიპოვა.

ეს საკმაოდ რთული სახეობაა საცხენოსნო შეჯიბრებებში. ჯინა შუმახერი გასულ წელს ამავე თანრიგში ევროპის ჩემპიონი გახდა. მის საგულშემატკივროდ ოჯახის თითქმის ყველა წევრი მივიდა, გარდა ვარსკვლავი მამისა, რომელიც ჯანმრთლობის გამო არ იმყოფებოდა საამაყო ქალიშვილის გვერდით.

მოამზადა
რუსუდან ქობულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3895; ევრო - 2.8191;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0997;
100 რუბლი - 3.9554; თურქული ლირა - 0.6754;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4089;
1000 სომხური დრამი - 4.9885.

ამინდი 16 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+30
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+32
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge